კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 მაისი ოთხშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 117 (15938)

ივნისი 16 ჯვრის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

მიმართვა

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოსი

პროფესიულ კავშირთა ყველა წევრისადმი — საბჭოთა კავშირის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისადმი, სოფლის მეურნეობის მშრომელების, მოსამსახურეებისადმი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

1974 წლის 16 ივნისს გაიმართება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, მოქალაქისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართველი ყოველმხრივ დახასიათებულია ამ არჩევნების მნიშვნელობა, ნაჩვენებია წარმატებები, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინა არჩევნების შემდეგ განვლილი ოთხი წლის მანძილზე, გაშუქებულია მომავლის პერსპექტივები. საბჭოთა პროფკავშირები, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 100 მილიონზე მეტ მშრომელს, მსურველად იწონებენ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ამომრჩევლებისადმი, საკანონმდებლო უწყერენ მსარს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებთა განხორციელებისათვის.

განვლილი წლები იყო წლები საბჭოთა ადამიანების თავდადებული ბრძოლისა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების, მეცხრე ხუთწლედის გეგმების განხორციელებისათვის. ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის გმირული შრომა დაგვირგვინდა ახალი მიღწევებით ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებაში.

მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1973 წელს 1969 წლთან შედარებით 1,3-ჯერ გადიდდა. ამასთან პროდუქციის მატების დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების ზმით. მწყობრში ჩაეყარა 1600-ზე მეტი დიდი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, მნიშვნელოვნად გადიდდა იმ ქარხნებისა და ფაბრიკების რიცხვი, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ.

დიდი წარმატებებია მიღწეული პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. თანმიმდევრულად სრულდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაციის, მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების, მელიორაციის კომპლექსური პროგრამა. მარშან მხვნელ-მთესველებმა სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 222,5 მილიონ ტონა მარცვლეული — ბევრად მეტი, ვიდრე ოდესმე ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში. მიღებულია ბამბის რეკორდული მოსავალი, მნიშვნელოვნად გადიდდა პრუტყვისა და ფრინველის სულადობა. ქვეყნის ნამდვილი ბიელეკი გახდა სამეურნეო ბრუნვაში მოქცეული ყამირი და ნასვენი მიწები.

პარტიის პოლიტიკის უმაღლესი მიზანია ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება. განვლილი ოთხი წელი ამის მკაფიო დადასტურებაა. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ადამიანების რეალური შემოსავალი გადიდდა 20,5 პროცენტით. მარტო მეცხრე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში ხელფასი გაუდიდდა 31 მილიონ კაცს, ანუ ყოველ მესამე მუშასა და მოსამსახურეს, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 25 პროცენტით გაიზარდა.

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დახმარება და შეღავათები საზოგადოებრივი ფონდებიდან 1969 წლის 248 მანეთიდან გადიდდა 310 მანეთამდე 1973 წელს. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად გადიდებულია მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა პენსიების მინიმალური ოდენობა. გაუმჯობესდა სამხედრო მოსამსახურეთა მარწილადგარგული ოჯახების პენსიებით უზრუნველყოფა. სტიპენდიები გაუდიდდათ სტუდენტებს, ტექნიკუმებისა და ტექნიკურ სასწავლებლების მოსწავლეებს. ახალი მნიშვნელოვანი შეღავათები შემოღებული მომუშავე ქალებისათვის. დასმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო დაწესებულია სრული ხელფასის ოდენობით შრომის სტაჟის მიუხედავად. სულ 1971-1973 წლებში პენსიების, სტიპენდიების, დახმარებისა და სხვა მისაცემლების მომატების გზით გადიდებულია 23 მილიონი ადამიანის შემოსავალი. ოთხი წლის განმავლობაში 45 მილიონზე მეტმა კაცმა მიიღო ახალი ბინები და გაიუმჯობესა საბინაო პირობები. გაფართოვდა სამედიცინო დაწესებულებების, სკოლების, საბავშვო ბაღების და ბაგების, სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზების ქსელი. 120 მილიონზე მეტმა მშრომელმა დასვენება ამ წლების მანძილზე პროფკავშირულ ჯანმრთელობის კურებში, ტურისტულ და საკანონო ბაზებში, 33 მილიონი ბავშვი იხვენებდა არდადეგების პიონერთა ბანაკებში.

წინა არჩევნების შემდეგ განვლილი წლები აღინიშნა საბჭოთა საზოგადოების ახალი წინსვლით სოციალურ-პოლიტიკური განვითარების, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის გზით. კიდევ უფრო ამაღლდა მუშათა კლასის როლი და გავლენა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში. ფართოვდება მშრომელთა უშუალო მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. ახლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყოველი მეორე დეპუტატი მუშა და კოლმეურნეა.

კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის უუმეიესი მზრუნველობის ეეოხებიან იზრდება პროფკავშირების როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პროფკავშირებს თავიანთ მთავარ ამოცანად მიიჩნიათ ის, რომ კიდევაც პარტიის ხელმძღვანელობით უფრო სრულად განახორციელონ ვ. ი. ლენინის მიერ ნაანდერძევი როლი — მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის როლი, კიდევ უფრო ფართოდ ჩაბან მშრომელნი წარმოების მართვაში, გაამჯობესონ სოციალისტური შეჯიბრების და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობის ორგანიზაცია, იბრძოლონ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, იზრუნონ შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკის, დასვენებისა და სანატორიულ-საკურორტო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სამშობლოს თვალწარდენ. სიკეთეებზე ბაჩაოებულია დაძაბული შემოქმედებითი შრომა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ გაიშალა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით — მივიღეთ სამშობლოს მიგი, ეკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით. მშრომელთა მაღალი შვრნება, მათი ჯანუხრეული მზადყოფნა — წარმატებით განახორციელონ ხუთწლედის მეოთხე, ბამბაზეგრეული წლის დაგალებანი, მაკფიოდ გამოფოფინდეს 20 აპრილს, როცა მრავალი მილიონი საბჭოთა ადამიანი ბამოვიდა კომუნისტურ შაბათობაზე, რათა უსახყიდლოდ ეშრომათ სამშობლოსათვის.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო მოუწოდებს პროფკავშირთა წევრებს, ქვეყნის ყველა მშრომელს გაამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი პარტიის XXIV ყრილობის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, 1974 წლის ივნისა და მთლიანად ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ყოველნაირად ეცადონ, რომ დაიჩქარონ შრომის ნაყოფიერების ზრდა. უფრო სრულად ბამოიყენონ წარმოების რეზერვები, მტკიცედ დაიცვან მომეჭირნეობის რეჟიმი, გადუფრთხილდნენ ხამუშაო დროის ყოველ წუთს, განუხრელად განამტკიცონ შრომის დისციპლინა და ორგანიზებულობა, გადიდონ თვითეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

კომუნისტური მშენებლობის, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის ხელშეწყობი პირობები დაკანონებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს აქტიურ ბრძოლასთან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის. პარტიის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის განხორციელების შედეგად ხდება შემობრუნება „ცივი ომიდან“ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ. ჯაიზარდა ჩვენი პარტიის, სოციალისტური სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტი. სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ცხოვრებაში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები. მათმა შეთანხმებულმა კურსმა ახალი მიღწევები მოგვიტანა სოციალიზმის მშვიდობიან შეტევაში. სულ უფრო მტკიცდება მსოფლიო მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის მოქმედების ერთიანობა მონოპოლიების ექსპლოატატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

სსრ კავშირის პროფკავშირები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აქტიურად უჭერენ მხარს და მხარეალად იწონებენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. ამ ბრეჟნევის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიზნასწრაფული საქმიანობას, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავება, კომუნიზმის გამარჯვება.

ძვირფასო ამხანაგებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტები და უპარტიოები გამოდიან ერთგვარი ბლოკით, რომელიც გამოხატავს პარტიისა და ხალხის ერთიანობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებად მშრომელებმა დააასახელეს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. დეპუტატობის კანდიდატების შორის არიან საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენის, ჩვენი სახელმწიფოს ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგო მუშებო, ინჟინერებო და ტექნიკოსებო, სოფლის მეურნეობის მშრომელებო, მოსამსახურეებო, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს — 1974 წლის 16 ივნისს ხმა მისცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს — ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს.

ხმას მისცემენ რა დეპუტატობის კანდიდატებს, საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი კიდევ და კიდევ ერთხელ ცხადყოფენ თავიანთ შეკავშირებას ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო, მზადყოფნას, რომ თავდადებით იბრძოლონ კიდევ უფრო მეტი წარმატების მიღწევისათვის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს, მშვიდობისა და პროგრესის საიმედო დასაყრდენს!

გაუმარჯოს კმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც გულდაჯერებით მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო.

ოფიციალური ვიზიტით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიწვევით 20 მაისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოსა და ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი იაკუბუ გოვონი.

თეთმფრინავის კიბესთან იაკუბუ გოვონს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის ელჩი ნიგერიაში ბ. ს. ვორობიოვი.

საპატიო სტუმარს მიესალმნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები. საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ვ. პოდგორნიმ და იაკუბუ გოვონმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების ფრონტს.

ქუჩები და მოედნები, რომლებითაც მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით ჩაიარა კორტეჟმა, მორთული იყო ალუმებითა და მოსასალმელი ტრანსპარანტებით. საბჭოთა კავშირ-ნიგერიის მეგობრობის აღსანიშნაოდ.

ნიგერიის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ მისი თანმხლები პირნი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ნიგერიის მოლაპარაკება

21 მაისს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო და ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოსა და ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი იაკუბუ გოვონი.

გაიმართა დაწერილებითი აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირსა და ნიგერიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხებზე. განიხილეს აგრეთვე ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო აქტუალური პრობლემები.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში, ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

მოლაპარაკება გაგრძელდება. (საკდესი).

მის აღმატებულებას ბატონ ვალერი ჟისკარ დ'ესტენს

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

გულითადად გიილოცავთ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე არჩევას.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ იმას, რომ ჩვენი ქვეყნების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა სულ უფრო ნაყოფიერად და მრავალმხრივ ვითარდება როგორც პოლიტიკურ დარგში, ისე სავაჭრო-ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის სფეროებში.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანხმობის პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდიეს ორივე მხარის დაინტერესება ევროპისა და საერთაშორისო ლშიშროების განმტკიცებით, ანდა საერთაშორისო ეხოვრების მუდმივი ელემენტი, მშვიდობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება დიდი წვლილია დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმად მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრების საქმეში.

მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ როცა ადგანან ფეხზე, რომელიც დამკვიდრებულია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ფუძემდებელ დოკუმენტებში — სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პრინციპებსა და ოქმში პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ, ჩვენი ქვეყნები მიაღწევენ კიდევ უფრო დიდ შეიოიგებს ურთიერთხელსაყრელი ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების სასარგებლოდ ერთობლივ ღონისძიებათა აქტივიზაციის საქმეში.

მიიღეთ ბატონო პრეზიდენტო, ჩემი საუკეთესო სურვილები. წარმატებებს გისურვებთ თქვენს ახალ საქმიანობაში, კეთილდღეობასა და აყვავებას ეუსურვებ ფრანგ ხალხს.

ნ. პოდგორნი.

ხალი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ლიგიის სავაჭრო შეთანხმებას

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. თ. სემიჩასტნოვმა და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ აბჰენ ალ ატრაშმა 20 მაისს მოსკოვში თავიანთი მთავრობების დავალებით ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ლიბიის საავაჭრო შეთანხმებას.

შეთანხმებაში ორივე მხარემ დაადასტურა მისწრაფება ეაღრეულად ფართოდ შეუწყონ ხელი ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის განვითარებას. ამ მიზნით ისინი შეთანხმდნენ საავაჭრო ურთიერთობა განახორციელონ ერის უპირატესი ხელშეწყობის — ერის რეჟიმისა და სხვა ღონისძიებების საფუძველზე, რომელთა მიზანია ვაჭრობის განვითარება.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

ლიბიის მხრიდ — ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი, პრემიერ-მინისტრი აბდელ სალამ ჯელუდი და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები. (საკდესი).

ყირგიზულ და ლიტვურ ენებზე

ფრუნზე .(საკდესი). ყირგიზულ ენაზე ბროშურად გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ხრულიად საკავშირო ალკ XVII ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა.

ვილნიუსი (საკდესის კორ.). რესპუბლიკურმა გამომცემლობა „მინტისმა“ ლიტვურ ენაზე ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა 1974 წლის 23 აპრილს ხრულიად საკავშირო ალკ XVII ყრილობაზე.

დეპუტატობის კანდიდატები

ნიჭიერი ორგანიზატორი

არსენ კობაბიძეს ყველა იცნობს ჩვენში. იგი 1948 წლიდან საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობის — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. ეს კოლმეურნეობა შეიქმნა ისტორიული „ქედის კომუნის“ ბაზაზე, რომელსაც კობა ჩოხელი ხელმძღვანელობდა.

არსენ კობაიძემ ზემოქედელ კოლმეურნეთა შრომისმოყვარეობასა და სიბეჯითეს თავიდანვე სწორი ალღო აუღო, განამტკიცა და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ამ კოლმეურნეობაში თავიდანვე ტრადიციულად დანერგილი შრომისადმი სიყვარული, საზოგადოებრივი მეურნეობისადმი დიდი პატივისცემა და ზრუნვა. ოცდაექვსი წელია ამ კოლმეურნეობის ყველა უბანზე იგრძნობა მისი თავმჯდომარის ორგანიზატორული, კარგი მეურნის ხელი.

არსენ კობაიძე დიდი სამამულო ომის ახალლოვანი მონაწილეა. სამშობლოსათვის მისი თავგანწირვა და სიმამაცე ხვრძოლო ორდენებითა და მედლებით არის აღნიშნული. მაღლიერმა ხალხმა ა. კობაიძე 1962 წელსაც აირჩია სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. სამშობლოსათვის თავდადებული და დიდად ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მას მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის სპეციალური წოდება.

უკანასკნელ ხანებში უფრო გალამაზდა, გამშვენიერდა, სიგრძე და განი მოემატა სოფელ ზემო ქედს. მას აქვს კეთილმოწყობილი გზა და ქუჩები, სკოლა, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, ბავშვთფოფო, საბავშვო ბაღი, სკვერები, ობელისკები და მონუმენტები.

ხინათლე? ადრე საკუთარი პატარა ელექტროსადგური ემსახურებოდა სოფელს... მაგრამ არსენას ადლით გადაზომილ დიდ საქმეებს ეს რას გასწვდებიო, ადგა სოფელი და ჩამოყარეს ყველა ძველი მავთული, გამოცვალეს ბოძები. მალალი ძაბვის დენმა საჭიდო მისცა სოფლის თავში ქოშკეთი ალმართულ მძლავრ ტრანსფორმატორს, იქიდან კი, ახალი ცხოვრების მახარობელმა სინათლემ მერცხალივით დაიბიდა ყველა კოლმეურნის მაღალ ეერში, მძლავრად დაადარუნა წისქვილის დოლაბები, ძალა შემატა სახერხ და ადგურ-კამბეტის ქარხნებს. მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოაშვებინა ზეთსახდელ ქარხნებს.

აი რატომ უყვართ არსენ კობაიძე სულით და გულით თანასოფლელები. ჩვენი არსენა ისეთია, თუ მოინდომა, ალაზანს შირაქის გულში ამოიყვანსო... ჯერჯერობით ალაზნის გაღმიდან სასმელი წყალი ამოიყვანა და ახლა მთელ სოფელში, ყველა კოლმეურნის ოჯახში ჩქეფს ანკარა წყაროს წყალი...

ახეა, როცა სოფლისათვის, კოლმეურნეებისათვის ზრუნავს და იღვწის თავკაცი, ხალხის არჩევანიც მას ხვდება წილად...

სამშობლოსა და ხალხის წინაშე ახეთი დიდი დამსახურებისათვის მაღლიერმა მშრომელებმა არსენ კობაიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს, ხოლო სიღნაღის № 184 საოლქო საარჩევნო კომისიამ მისი კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარა.

ბ. ჩიქვანიძე.

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძე.

შეხვედრა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

21 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა თბილისში ჩამოსულ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სსრ კავშირში იან გავლეკას.

საუბრის დროს ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში ურთიერთთანამშრომლობის ფართო განვითარება, დიდი შედეგები, რომლებიც მიღწეულია ყოველმხრივი ეკონომიური ურთიერთობის გაღრმავებაში სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის შესაბამისად. შემდეგ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის ეკონომიურ, მეცნიერულ და კულტურულ ურთიერთობათაა ექვს ორმა ფესვები, იგი დღენიადაგ ვითარდება და მტკიცდება.

ი. გავლეკამ ილაპარაკა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებზე, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში. მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა ჩეხოსლოვაკიისა და საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის კლიმენტ გოტვალდის დაბადების 75 წლისთავისათვის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული სამახსოვრო მედალი.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. ჯიბლაძე. საუბარზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. ციცაგი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდილაძე, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მესამე მდივანი ი. გავლეკა, საელჩოს მრჩეველი ფ. გრაზრა. (საქინფორმი).

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი თბილისში

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იან ვავლეკა 21 მაისს ეწვია საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას. აქ თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის წევრებმა და აქტივისტებმა, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ნ. მელაძე მიესალმა ი. გავლეკას და განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანები აღსავსე არიან ჩეხოსლოვაკიის მშრომელებისადმი მეგობრობისა და ძმობის ღრმა გრძნობებით. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობა ემყარება ჩვენი პრინციპების, ინტერესების, მიზნების ერთობას, დედამიწაზე მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ერთობლივი ბრძოლის დიდი ხნის ტრადიციებს.

ქარაული და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების მეგობრობაზე ილაპარაკა სსბ-ბ-ის საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ამ საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, ბრატისლავის უნივერსიტეტის სპატარი დოქტორმა პროფესორმა დ. ო. ლორთქიფანიძემ. იგი შეკრებილთ ესაუბრა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მრავალმხრივ ურთიერთობაზე. ჩვენი ხალხების ეგეობრობისა და კულტურული თანამშრომლობის მძლავრი მოძრაობა სსზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო ფენებს მოიცავს.

გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩის იან გავლეკას გამოსვლას. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, განაცხადა მან, საბჭოთა ხალხისადმი გამსჭვალულია ღრმა პატივისცემის, გულითადი მადლიერების, გულწრფელი მეგობრობის გრძნობით. საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა, მეგობრობა და კავშირი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს პოლიტიკის ქვაკუთხედია. ჩვენი ხალხი აცხადებს: დაე მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის ურყევი მეგობრობა! (საქინფორმი).

ჩაის ფოთლის კრეფა

ჩოხატაური. („კომუნისტის“ სპეც. კორ. ბ. ჩხაიძე). ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. 16 მაისს მოიკრიფა 80 ტონამდე „მწვანე ოქრო“, 20 მაისს — 185 ტონამდე. ყოველდღიურად 100 ტონაზე მეტი იკრიფება.

დაწინაურდნენ განახლების, ჩაისუბნის, შუა ბანაგების, ხიდისთავის, გორაბერეკეთელის კოლმეურნეობები.

რაიონში ცნობილი მეჩაიეები თამარ ცინცაძე, ნათელა მახარაძე, ციალა ბერძენიშვილი ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ. წელს სამშობლოს მიეცეთ 8.170 ტონა ჩაის ნედლეული, მაის-ივნისში მოვკრიფოთ წლიური დავალების 55 პროცენტი! — ასეთი დევიზით მუშაობენ ჩოხატაურელი მეჩაიეები.

ჩხოროწყუ. („კომუნისტის“ კორ.). წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გულმოდგინედ მოუფრეს ჩაის პლანტაციებს. შედეგიც კარგია. რაიონში უკვე მოიკრიფა 1.641 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. მარტო 20

ივნისი 16 კვირა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

ჩვენი კონსულტაცია

ამომრჩეველთა სიები

ახლა, როცა საარჩევნო უბნებში გამოკრულია ამომრჩეველთა სიები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ იმუშავებენ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაკები, აქტივისტები, რომ ყველასთვის ნათელი და გასაგები იყოს სიების მონაცემები. არჩევნებისათვის მზადების ამ უბანზე ამომრჩეველმა პირადად უნდა დააზუსტოს ჩანაწერები, რომლებიც კომუნისტებმა სიებში მოახდინეს. ეს ყველაზე უფრო სწორი მეთოდია იმისათვის, რომ სიების ჩანაწერების სიზუსტე შეესაბამებოდეს არჩევნების დებულებას.

შენობაში, სადაც ამომრჩეველთა სიებია გამოკრული, აუცილებელია მორიგეობას ეწეოდნენ საარჩევნო უბნების წევრები, აღმასკომების, პარტიული, კომკავშირული მუშაკები, აქტივისტები. ისინი მოვალენი არიან ამომრჩეველს განუმარტონ ყველა საკითხი, რომლებიც მათ აინტერესებთ, მიიღონ როგორც წერილობითი, ისე სტაფეტური განცხადებები სიებში დაშვებული შეცდომების შესახებ. ეს განცხადებები შემდეგ წარდგენილ უნდა იქნას საბჭოს აღმასკომში, რომელმაც სიები შეადგინა. აღმასკომი კი თავისთავად ვალდებულია განიხილოს ყოველი ასეთი შენიშვნა თუ განცხადება სამი დღის ვადაში. განხილვის შემდეგ აღმასკომი მოვალეა ან შეიტანოს შესწორება სიაში ან მისცეს სათანადო პასუხი განმცხადებელს მისი პრეტენზიების უარყოფის შესახებ. ამასთან ამ პასუხში დასაბუთებული უნდა იქნას განმცხადებლის შენიშვნების უსაფუძვლობა.

იმ შემთხვევაში, როცა ამომრჩეველი შეიტანს ადგილსამყოფელს (როცა უკვე სიები შედგენილია), აღმასკომი მოვალეა მისცეს ამომრჩეველს მოწმობა არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესახებ, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი.

საარჩევნო სიების მონაცემების სიზუსტე დაეხმარება ამომრჩეველს იმ კონსტიტუციური უფლების განხორციელებაში, რომ არჩევნების დღეს მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მისცეს კომუნისტების და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

დეპუტატობის ღირსეული კანდიდატი

რესპუბლიკაში დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან. ეს შეხვედრები მოწმობენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, მოქალაქისადმი უართო გამოხმაურება პოოვა, შრომელთა ენთუზიაზმის ახალი მოზღვავება გამოიწვია. შეხვედრების მონაწილეები მხურვალედ იწონებენ იმ დიდი აღმშენებლობითი მუშაობის შედეგებს, რომლებიც საბჭოთა ხალხებმა განიეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინა არჩევნების შემდეგ გასული პერიოდის პანძილზე, და მტკიცე განაწესს აძლევენ დეპუტატობის კანდიდატებს განუხრელად განახორციელონ პარტიის პოლიტიკა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

ფოთი. დიდი პოლიტიკური აქტივის ვითარებაში ჩაიარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანდიდატების ფოთის № 687 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრამ დეპუტატობის კანდიდატთან — ფოთის ჰიდრომექანიზაციის ქარხნის ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირთან — არგენტი შალვას-ძე გვათუასთან.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ხუციანმ. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდნენ შრომელები ყველა ამომრჩეველისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას, ხაზი გაუსვა დიდ შრომითს აღმავლობას, რომელიც ამჟამად სუფევს ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. მშრომელები ესწრაფიან ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს შეხვდნენ ახალი შრომითი გამარჯვებებით, მაღუნებით სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ფოთის ჰიდრომექანიზაციის ქარხნის დირექტორის მოადგილემ ე. კეშელავამ შეკრებილთ გაცნო ა. გვათუას ბიოგრაფია. დეპუტატობის კანდიდატი სრულიად საკავშირო აღკკ წევრია, მისი ბრიგადა მუდამ გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, თვით ბრიგადირი კი დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს საწარმოში. იგი ხომ გვათუების იმ დიდი შრომითი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომლის წევრები ქარხანაში მუშაობენ.

შეხვედრაზე გამოვედნენ ფოთის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ა. ქოიავა, ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის ზეინკალ-მემონტაჟე ნ. შაბანოვი, ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის მუშა მ. ხარბედია, ჩხოროწყუს რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ვ. როდონაია, ფოთის მე-12 საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ნაჭყებია, საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივანი ლ. გოგინავა, მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის საშუალო სკოლის დირექტორი ბ. მდინარაძე, ხობის რაიონის სოფელ ქალადიდის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ს. დარსანია, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. კალანდაძე, რომლებმაც ილაპარაკეს, თუ რა წარმატებებით ეგებებიან მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, და განაწესი მისცეს თავიანთ კანდიდატს.

ა. გვათუამ გულთბილი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული დიდი ნდობისათვის და აღუთქვა მათ, რომ შრომით გაამჯობესებს მას. (საქინფორმი).

ARCHEVNEBIDAN ARCHEVNEBAMDE

დასასრული, რომელიც ადრე არ იყო

ოთხი წლის წინათ იმ ადგილას, სადაც ახლა მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთი დიდი ნაგებობა — ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსი შენდება, უბრალო ნაპურალები იყო.

ახალი ჟინვალი შორიდანვე იპყრობს საქართველოს სამხედრო გზაზე მიმავალი მგზავრების ყურადღებას, მზის სხივებზე ლაპლაპებენ თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლების მინის სარკმელები. ამას წინათ აქ მრავალმა მშენებელმა აღნიშნა ახალმოსახლეობა, საექსპლოატაციოდ გადასცეს ორი 36-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინადღეებში დამთავრდება ოთხსართულიანი ორმოცბინიანი სახლის მშენებლობა, ჟინვალის ჰიდრომშენებლები უახლოეს წლებში მიიღებენ ხუთსართულიან 20 შენობას, რომლებშიც ასობით ოჯახი იცხოვრებს.

ამ დღეებში გაიხსნა საბავშვო ბაგა-ბაღი 140 ბავშვისათვის, კაპიტალურ, თანამედროვე ტიპის შენობათა რიცხვს შეემატა უნივერმაღის ორსართულიანი ნაგებობა, ამ დღეებში გაიხსნება პურის საცხობი, ახალი სასწავლო წლისათვის დამთავრდება საშუალო სკოლის ოთხსართულიანი შენობის აგება 940 მოსწავლისათვის, შენდება საავადმყოფო, კაფე-სასადილო, ადმინისტრაციული სახლი...

მომავალი ჰიდროკვანძის ტერიტორიაზე დამთავრდა ბეტონის ქარხნის აგება, რომელიც წელიწადში 150 ათას კუბმეტრ მზა ბეტონს მოგვცემს, მიმდინარეობს გვირაბების მოპირკეთება, რომლის დამთავრების შემდეგ არაგვი გვირაბში გაიკვლევს გზას, მის კალაპტაში კი კაშხალის მშენებლობა დაიწყება.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მშენებლებმა კიდევ ერთი შეესანიშნავი წარმატება მოიპოვეს — ახლახან მიწის სიღრმეში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინის ორდენოსანი თბილგვირაბმშენის სამმართველოსა და „საჰიდროენერგომშენის“ ტრესტის გვირაბგამყვანები. გვირაბის დიამეტრი თითქმის 3 მეტრია. 200 მეტრის სიღრმეზე, რთულ პირობებში გვირაბგამყვანები ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ, რათა დროზე და ხარისხოვნად შეესრულებინათ მინდობილი რთული საქმე. ეს დროც დადგა. მალე ახალი წყალსადენით დედაქალაქს შეემატება 1 კუბური მეტრი წყაროს ანკარა წყალი წამში.

ბევრი ჰიდროტექნიკური სამუშაო არ ჩანს. მიწის სიღრმეში მიმდინარეობს შახტების დამონტაჟება, ჟინვალელ გვირაბმშენებლებს დიდად დაეხმარება გვირაბგამყვანი ფარი, რომელიც მოსკოველი გვირაბმშენებლებისაგან მიიღეს და რომლის დამონტაჟება ახლა მიმდინარეობს. გამოცდილების მისაღებად მოსკოვში იყო 15 კაცი, რომლებიც ფარს მოემსაურებიან.

...შრომის მაჯისცემა არ წყდება არც დღე და არც ღამე, მშენებლები ყველაფერს აკეთებენ, რათა ახალი წარმატებით შეხვდნენ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. შრომითი მამაცობისათვის მოუწოდებენ ჰიდრომშენებლებს ჟინვალელი აგიტატორები და პოლიტიფორმატორები, თავისუფალ დროს ხალხმრავლობაა აგიტპუნქტებში, ახალგაზრდა ქალაქის ამომრჩეველები ემზადებიან ინსპათვის, რომ ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.





ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობებზე

ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსი ძველი ანანურის ციხე არაგვისა და ფშავის არაგვის შეხართვის ცოტა ქვემოთ მდებარეობს. მის კედლებთან იქმნება ჟინვალის წყალსაცავი, სადაც წყლის მოცულობა 520 მილიონ კუბურ მეტრს მიაღწევს. არხების რთული სისტემითა და გვირაბებით გემრიელი არაგვის წყალი თბილისისაკენ წამოვა. დღეღამეში დედაქალაქი 605 ათას კუბურ მეტრ სასმელ წყალს მიიღებს. ამას გარდა არაგვი 38 ათას მეტრს მორწყავს. წყლის ნაწილი თბილისის ზღვას შეუერთდება და მორწყავს სამგორისა და გარდაბნის ველს.

იქ, სადაც ჟინვალის წყალსაცავი შენდება, მიწის ქვეშ აიგება 4-აგრეგატიანი ელექტროსადგური. წელიწადში ნახევარ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მშენებელთათვის შენდება ახალი დასახლება. დატბორვის ზონიდან 300-მდე ოჯახი გადმოსახლდება მყუდრო და მოხერხებულ კოტეჯებში. გადაწყვეტილია შეიქმნას დასასვენებელი ბაზა თბილისელთათვის.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში მოითითებულია, რომ დაწყებულია ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა, რასაც წარმატებით ახორციელებს ლენინის ორდენოსანი „საჰიდროენერგომშენის“ ტრესტის კოლექტივი.

სურათებზე: ზემოთ — გვირაბგამყვანთა მოწინავე ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): გიორგი კულუმბეგაშვილი, ბრიგადის ხელმძღვანელი ალექსანდრე მინაძე, ხულიკო კარსიმანიშვილი და ლევან ჯიკურაული; ქვემოთ — ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა; მარჯვნივ — ქანის გამომტანი მანქანა გვირაბის მშენებლობაზე.

შ. პრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს საბრძოლო კომკავშირის

20 მაისს მსახიობის სახლში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „სრულიად საკავშირო აღკკ XVII ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სრულიად საკავშირო აღკკ XVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის დადგენილებიდან — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებანი და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები ალმა-ათაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის მიხედვით“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ქ. ა. შარტავამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს აღკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. შ. ინდილაძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქ. ა. ჯოგიტიძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ცეგბა, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშა მ. გ. ჯობიაშვილი, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ს. კოტკეჟი, ხობის რაიონის ტრუსტ „ალოსეთმშენის“ მელიორაციის სამმართველოს მუშა ა. ი. აბრამია, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწე კომკავშირულ მუშაობაში გ. ს. საქსონოვი, საქართველოს მუნიციპალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ახალგაზრდა პოეტების საბჭოს წევრი დ. ბ. ჭუმბურიძე, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნის ზეინკალი სოციალისტური შრომის გმირი ვ. ა. ბაბანაშვილი, კომკავშირის ახალგაზრდა პოეტების საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. ბერეტაგაია, თბილისის ბ. ბ. ბერეტაგაიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ჰ. ვ. მელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. ს. აბულაძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, სრულიად საკავშირო აღკკ XVII ყრილობის დელეგატი ქ. ა. ციხლაძე, თბილისის 132-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მ. რ. დემეტრაძე, თბილისის 99-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. დ. მამარდაშვილი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მუდმივი კომისიების შემადგენლობა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის რესპუბლიკების სექტორის გამგე ვ. ნ. შევჩენკო, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ა. ბ. ფილიპოვი, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ვ. ი. ხარლანოვი, ამიერკავკასიის კომკავშირული სკოლის დირექტორი ე. ს. ულკინა. (საქინფორმი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

მუქთახოროობა — ბოროტების სათავე

რედაქციას უპასუხებს პარტიის სამტრედიის რაიკომი

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი სათაურით „მუქთახორობა — ბოროტების სათავე“. იგი ამხილებდა თუ როგორ მიივიწყეს სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაიშში ხუცუბნელ და ტყვიაველ ინიციატორთა საპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებანი. ამ წერილთან დაკავშირებით პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ნ. რუხაძე რედაქციას ატყობინებს:

„კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში — „მუქთახორობა — ბოროტების სათავე“ მოყვანილი ფაქტები მაშლიანად სინამდვილეს შეესაბამება.

პარტიის სამტრედიის რაიკომის ბიურომ დაავალა დიდი ჯიხაიშისა და მელაურის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომებს, დიდი ჯიხაიშის სტალინის, ნინოშვილის, შრომის და მელაურის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობათა გამგეობებს, ხაკლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, მინაგან საქმეთა განყოფილებას, სოფლის მეურნეობის სამმართველოს, საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელებს გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი გაზეთში გამოქვეყნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბიურომ ჯიხაიშის სტალინისა და მელაურის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს, სკკპ წევრებს გ. ბალანჩიოვაძეს და ა. ჩხიკვაძეს გამოუცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით; ჯიხაიშის ნინოშვილისა და შრომის სახელობის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, სკკპ წევრებს ი. ლეჟავასა და ს. ბალანჩიოვაძეს საყვედური. ხოლო მელაურის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს სკკპ წევრ ვ. შენგელიას გამოუცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო ჯიხაიშის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ტ. სანაძის საკითხი განსახილველად გადასცა რაიონული საბჭოს აღმასკომს. სკკპ წევრ პ. ლეჟავას საკითხი, რომელმაც ბორკმეტად ჭითავვა მისცა დადებითი დახასიათება, პარტიული პასუხისმგებლობისათვის საკითხი განსახილველად გადაეცა ოქტომბრის რვაწლიანი სკოლის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

SKOLA DA CHVENEBA

მოქალაქეებად რომ აღიზარდონ...

სკოლის, ოჯახისა და საშეფო საწარმოს კოლექტივების ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობა მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საიმედო საფუძველია

თბილისის 114-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობის სასხლსავსე, ხალისიანი და საქმიანი ცხოვრების გაკვლევას რომ შეუდგები, მყისვე გაგახსენდება ნახევარი საუკუნის წინათ, კომკავშირის III ყრილობაზე დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ხხოლოდ მუშებთან და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტები“. დიახ, უთუოდ საშეფო საწარმოს — ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნისა და საშეფო № 26 ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივებთან დამყარებული ყოველდღიური შემოქმედებითი კავშირი განსაზღვრავს სკოლის ახალგაზრდობის მორალურ სახეს.

ჯერ კიდევ პიონერობის წლებში ეყრება საფუძველი ქარხნის მუშებისა და ბავშვების მეგობრობას. კომუნისტური შრომის დამკვრელები, მაშინაც მუშები პიონერულ რაზმებს ხელმძღვანელობენ და თავიანთი ცხოვრების პირადი მაგალითით ახალგაზრდებს უნერგავენ შრომის სიყვარულს, პატიოსნების, სიმტკიცეს, ახალგაზრდის ცხოვრების სწორ გზას. ამ კარგ ტრადიციას უკვე ოც წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, და უთუოდ ამის შედეგია, რომ დღეს ქარხნის საამქროებში მრავალდ ნაცავთ სკოლის აღზრდილებს. ქარხანა მათი მეორე ოჯახი გახდა. „ისინი ბეჯითად შრომობენ, მუყაითად სწავლობენ და ერთგულად მიჰყვებიან მშობლების გზას, აგრძელებენ მათს საუკეთესო ტრადიციებს“, — ეს სიტყვები სკოლაში გაკრულ იმ სტენდზე ამოვიკითხეთ, სადაც მოთავსებულია ქარხნის მოწინავე მუშების — სკოლის აღზრდილთა ფოტოსურათები. ესენი არიან შემდეგდროლები ავთანდილ გელაშვილი და გივი მათუმაშვილი, ზეინკლები ტარიელ ჯიქურიძე და ალბერტ თედიაშვილი, ფერგლები — ძმები მამუკაძეები, ინჟინრები ალბერტ მუმლაძე, ნუნუ ცარამიძე, იზა გელაშვილი და სხვ. კომუნისტური შრომის დამკვრელი მეგლად ტალახაძე რაიონული საბჭოს დეპუტატია. მათ მხარში უდგას სკოლის შარშანდელი 20 კურსდამთავრებული; 18 — პროფტექნიკურ სასწავლებლებში მეცადინეობს, —9 ტექნიკუმებში, 5—უმაღლეს სასწავლებლებში. სამოცდაერთიოვე შრომობს და სწავლობს. ასეა ყოველ წელიწადს. ეს ფაქტი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის. მშობლებისა და საშეფო საწარმოს ერთობლივი მუშაობის შედეგია. იმ მუშაობისა, რომელიც წლების მანძილზე მიმდინარეობს.

პირველ რიგში დიდი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს — მუშაკაცს, მშრომელს ვერ ეყოლება ზარმაცი და უქნარა შვილი, თუ მასზე მზრუნველობას თან ერთვის მასწავლებლების, კომკავშირული ორგანიზაციის სათანადოდ გააზრებული მუშაობა. სასიხარულოა, რომ თვით მშობლები, ქარხნის მოწინავე მუშები პედაგოგებთან ერთად ასე აქტიურად მონაწილეობენ შვილების მომავალი გზის არჩევაში. ამ რამდენიმე დღის წინათ სკოლაში გაიმართა მშობელთა პედაგოგიური კონფერენცია თემაზე: „სკოლისა და ოჯახის კავშირის როლი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში“. კონფერენცია: „სკოლისა და ოჯახის კავშირის როლი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში“, სადაც საინტერესო მოხსენებით გამოვიდნენ მშობლები — სოციალისტური შრომის გმირი ვასილ პაპინაშვილი, საბჭთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გურამ ჩადუნელი და სხვა. ასეთი თავშეყრა და პედაგოგიურ საკითხებზე მათთან საუბარი იშვიათი როდინ, წლების მანძილზე სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს მშობელთა პოლტგრე.

ნიშანდობლივია, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მშობლებთან გარკვეულ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. ასე, მაგალითად, 16 მარტს მოიწყო მერვეკლასელთა მშობლების ეესკურსია მე-6 პროფტექნიკურ სასწავლებელში, 6 აპრილს — 26-ე ტექნიკურ სასწავლებელში. 8 აპრილს კი თვით მოსწავლეები ეწვივნენ ტექნიკური სასწავლებლის ახალგაზრდობას. ასეთი შეხვედრები ეხმარება მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში. სკოლა კი დღენიადაგ უნერგავს მოსწავლეებს იმ აზრს, რომ ტექნიკის ეპოქაში განსაკუთრებით აუცილებელია. მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა; უმისოდ შეუძლებელია რაიმე პროფესიის დაუფლება — დღეს ანანურის ციხე არაგვისა და ფშავის არაგვის შეხართვის ცოტა ქვემოთ მდებარეობს. მის კედლებთან იქმნება ჟინვალის წყალსაცავი, სადაც წყლის მოცულობა 520 მილიონ კუბურ მეტრს მიაღწევს. არხების რთული სისტემითა და გვირაბებით გემრიელი არაგვის წყალი თბილისისაკენ წამოვა. დღეღამეში დედაქალაქი 605 ათას კუბურ მეტრ სასმელ წყალს მიიღებს. ამას გარდა არაგვი 38 ათას მეტრს მორწყავს. წყლის ნაწილი თბილისის ზღვას შეუერთდება და მორწყავს სამგორისა და გარდაბნის ველს.

იქ, სადაც ჟინვალის წყალსაცავი შენდება, მიწის ქვეშ აიგება 4-აგრეგატიანი ელექტროსადგური. წელიწადში ნახევარ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მშენებელთათვის შენდება ახალი დასახლება. დატბორვის ზონიდან 300-მდე ოჯახი გადმოსახლდება მყუდრო და მოხერხებულ კოტეჯებში. გადაწყვეტილია შეიქმნას დასასვენებელი ბაზა თბილისელთათვის.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში მოითითებულია, რომ დაწყებულია ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა, რასაც წარმატებით ახორციელებს ლენინის ორდენოსანი „საჰიდროენერგომშენის“ ტრესტის კოლექტივი.

სურათებზე: ზემოთ — გვირაბგამყვანთა მოწინავე ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): გიორგი კულუმბეგაშვილი, ბრიგადის ხელმძღვანელი ალექსანდრე მინაძე, ხულიკო კარსიმანიშვილი და ლევან ჯიკურაული; ქვემოთ — ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა; მარჯვნივ — ქანის გამომტანი მანქანა გვირაბის მშენებლობაზე.

შ. პრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როგორ ემზადებით არჩევნებისათვის?

დამაფიქრებელი ხარვეზები

გარდაბნის რაიონის მშრომელები მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებისათვის. ყველგან — ბრიგადებში, უბნებში, ფერმებში იგრძნობა შემოქმედებითი შრომის პათოსი. თბილისსა და რუსთავს გარდაბნელები ყოველდღიურად აწვდიან დიდი რაოდენობით ბოსტნეულს, რძესა და რძის პროდუქტებს. არჩევნების კამპანიის დღეებში რაიონის მშრომელებმა ერთხელ კიდევ დადეს პირობა, რომ წელს მოიყვანენ და სახელმწიფოს ჩაბარებენ 50 ტონაზე მეტ ბოსტნეულს, მკვეთრად გაზრდიან მარცვლეულს, ხილისა და ყურძნის მოსავალს, აგრეთვე მიცხოველეობის პროდუქტიულობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება, ისევე როგორც სხვაგან, გარდაბანშიც ახალი ძალთა არის გაჩაღებული. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ახლახან განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება მის მიერვე აპრილში მიღებული დადგენილება არჩევნების კამპანიის ჩატარებისათვის და დასახა გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

...თელეთის № 47/62 საარჩევნო უბანი მოთავსებულია სოფლის ოლტურის სახლში. აქვეა ამომრჩეველთა კლუბი — პოლიტიკური და საგაზეთო მუშაობის კოორდინაციის ცენტრი. შვიდიოდარი მასში, ჩვენი დამფიქრებრები არიან მორიგე აგიტატორი ე. მიქიტუმაშვილი და საარჩევნო უბნის კომისიის მდივანი რ. სარუხანოვი. მაგიდაზე აწყვია საარჩევნო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, ოდლებში ი ჟურნადიებს ეპყრობს ამომრჩეველთა კარგად გაორრმეებული სია, გაკრულია ამომრჩეველთა კლუბის სამუშაო გეგმა, საგზაურიო უბნების საზღვრები და ცენტრები, პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების სია, სანიმუშო თემატიკა საუბრებისათვის, ოდლის გაზეთი „ამომრჩეველის ხმა“, კითხვა-პასუხის რვეული და სხვ. ერთი სიტყვით, აქ ცოტა ღონისძიება რომ გაეტარებიათ, რომ ნამდვილად მაღალი პოლიტიკური აქტივობით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებს, კარგად, ორგანიზებულად ჩაატარონ ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია.

მაგრამ შესამჩნევია — ერთობ დამაფიქრებელი ნაკლოვანებანი. ამომრჩეველთა კლუბი სრულიად ვერ ასრულებს ძირითად ამოცანას — იყოს მასებს შორის პოლიტიკური და ადმშენებლობითი მუშაობის მთავარი კერა. აქ იშვიათად თუ შემოდიან ამომრჩეველები, ამატომაც შემთხვევიდან შემთხვევამდი ეწყობა მათ შორის საგზაურიო საუბრები, ლექციი-მოხსენებები, გასართობი ხასიათის ღონისძიებანი.

როგორც აღვნიშნეთ, ამომრჩეველთა კლუბში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების მორიგეობის სია, რომლის მიხედვით მორიგეობა ორ კვლად უნდა ეწყობოდეს. მაგრამ, ამომრჩეველთა კლუბი საამობითი მუდამ დაკეტილია. განაწესით მორიგეობა დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე დაიწესებიათ. ამ დროს ხომ ამომრჩეველები მინდვრად იმყოფებიან და მატერიალურ დოვლათს ქმნიან? მაშ როგორ შეძლებენ ისინი ამომრჩეველთა კლუბში შესვლას, მათთვის საინტერესო საკითხებზე სჯა-ბაასს? ყოველივე ეს ხომ საღამოს საათებში უნდა ხდებოდეს.

ამაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, სასოფლო საბჭოს აღმასკომი, მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია და კავშირისა და ეროვნებათა საბჭოების №№ 679 და 182 საოლქო საარჩევნო კომისიები.

ხომ არ არის ზემოთ მოყვანილი ნაკლი იმის მიზეზიც, რომ ამომრჩეველთა კლუბს ჯერჯერობით მთელი ძალით არ გაუჩაღიდია მოსახლეობაში დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაცია. არჩევნებისათვის ემზადებიან სოფელ კუმისშიც. გადადგმულია პირველი ნაბიჯები ამ კამპანიის ღირსეულად ჩატარებისათვის, მაგრამ ნაკლისაგან არც აქ არიან დაზღვეული. იმავე მიზეზით, რომ აგიტპუნქტი უფრო ადრე, საღამოს 5 საათზე იკეტება, ამომრჩეველები მოკლებული არიან საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ღონისძიებებს, სათანადო კონსულტაციებს.

კუმისის საარჩევნო უბანიც (№ 48/68) და აგიტპუნქტიც მოთავსებულია საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში. მაგიდაზე ესსისტემოდ არის მიმობნეული ჟურნალ-გაზეთები, არცთუ მდიდარი საარჩევნო ლიტერატურა. ჯერჯერობით აქ ამომრჩეველებთან შეხვედრის რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არ განუხორციელებიათ. მართალია, საუბნო-საარჩევნო კომისიის გაახნია თავისი სამუშაო გეგმა, მაგრამ იგი მხოლოდ სეიფში აქვთ შენახული. საარჩევნო უბნის კომისიის წევრების მორიგეობე გრაფიკი კი აქ საერთოდ არა აქვთ.

ისიც სამწუხარო თქმაა, რომ აგიტპუნქტში არ გაჩენილან დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიები. საოლქო-საარჩევნო კომისიების მისამართით უნდა ითქვას, რომ მათ მეტი ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილებზე

მსოფლიო დღეს

ამბები • ფაქტები

საკადესი და
უცხოეთის პრესის
სააგენტოები
იტყობინებიან

შეხვედრები ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 20 მაისი. (საკადესი). დღეს ვაშინგტონში დაიწყო საქმიანი შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით, და ამერიკის კონგრესის წევრები.

საბჭოთა დელეგაციას კონგრესს შენობაში მიესალმნენ წარმომადგენელთა პალატის სპიკერი კ. ალბერტი და სენატორი ჯ. სპარკმენი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს წარმოადგენს სპარლამენტთაშორისო კავშირში.

საბჭოთა დელეგაციის სახელით გამოვიდა ბ. ნ. პონომარიოვი, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის პარლამენტართა კონტაქტები ხელს შეუწყობენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სისტემატური თანამშრომლობის მოგვარებას.

საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხალხთა მისწრაფება — ერმანეთთან ცხოვრონ მშვიდობით, თქვა ბ. ნ. პონომარიოვმა, უკვე პრაქტიკულად განხორციელდა ჩვენი მთავრობების კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური ღონისძიებებით.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი, თქვა მან, შეძლება განვიხილოთ, როგორც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში ატმოსფეროს საერთო გაჯანსაღების ერთ-ერთი კანონზომიერი შედეგი, ამასთანავე როგორც ელემენტი პოზიტიური ცვლილებებისა საზოგადო საერთაშორისო ვითარებაში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პროცესებს მძლავრი სტიმული მისცეს ორმა უმაღლეს დონეზე უკვე გამართულმა შეხვედრამ და ამ შეხვედრაზე ხელმოწერილმა დოკუმენტებმა და შეთანხმებებმა. ახლა, ჩვენი აზრით, აღნიშნა მან, არის პირობები, რათა დაწყებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა გაფართოვდეს ყველა დონეზე.

კონგრესის შენობის დათვალიერების შემდეგ გაიმართა საქმიანი დისკუსია სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრებთან.

სკკპ დელეგაცია ავსტრიაში

ვენა, 21 მაისი. (საკადესი). ავსტრიის ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ავსტრიაში მყოფი სკკპ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, ეწვია ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. გაიმართა დასკვნითი საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ფ. მური, ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიროს წევრები ე. შორეი, ჰ. ვალტი, ვ. ვაქსი, ი. პროგში, ფ. ვიურნბეგერი, ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ჰ. შტაინერი.

საუბრის დროს მოხდა აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე, რომელმაც ცხადყო ორივე პარტიის შეხედულებათა ერთიანობა. საუბარმა გულთბილ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

დღის მეორე ნახევარში დელეგაციის წევრები ეწვივნენ კორნიეგბურგის გიმნასიერს და დაესწრნენ გვმ — „ილია რეპინის“ წყალში ჩაშვების ცერემონიას. იგი აიგო საბჭოთა კავშირის დაკვეთით და განკუთვნილია ვოლგაზე სანაოსნოდ.

საზეიმო ცერემონიაზე იყო აგრეთვე ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარე ფ. მური.

თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!

ბერლინი. „გადაჭრით მოვითხოვთ გააუქმონ ჩილელ პატრიოტთა ახალი სამართლებრივი გასამართლება, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გათავისუფლონ ლუის კორვალანი და ყველა ჩილელი პოლიტიკური - პატიმარი“, — განაცხადეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტებმა ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტთა ასოციაცია ჩილეს ხუნტისათვის გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნავს, რომ ახლანდელი სასამართლო პროცესები ჩილეში მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს.

ფენვა. ჩილეში გამეფებული ტერორის წინააღმდეგ მრისხანე პროტესტები, —გამოთქვეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასამბლეის აქ მიმდინარე 27-ე სესიის დელეგატებმა. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ჩილეს სამხედრო ხუნტის ბოროტმოქმედებანი ისეთივე დანაშაულია, როგორიც არის კოლონიალიზმი, აპარტეიდი.

ვენა. ჩილეს სამხედრო ხუნტის მოქმედების წინააღმდეგ ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ზალცბურგში. დემონსტრაცია მოაწყო „ჩილესთან სოლიდარობის ფრონტმა“. დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც წარწერილი იყო: „შეწყდეს ტერორი ჩილეში“, „თავისუფლება ჩილელ პოლიტიკურ პატიმრებს“.

ლისაბონი **მოწოდება ერთიანობისაკენ**

ლონდონი **მ. ენალზი გამოთქვამს შეშფოთებას**

ურთიერთინტერესებისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის განცხადება

ვაშინგტონი, 21 მაისი. (საკადესი). ვაშინგტონის პრესის ეროვნულ კლუბში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრმა ფ. დენტმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების საავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგებას.

მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირისათვის ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიური ურთიერთობის ნორმალიზაციის აუცილებელი პირობაა.

უკანასკნელ წლებში, განაგრძო ფ. დენტმა, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა უფრო მჭიდრო ურთიერთობა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის ნორმალიზაციის ჩაფუშვის ცდები ზიანს მოუტანს ამ ურთიერთობას, რომელიც შეესაძლებელი გახდა დაძაბულობის შენელების შედეგად.

ფ. დენტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოება შეესაბამება შეერთებული შტატების ინტერესებს.

კონგრესის მიერ საავაჭრო კანონმდებლობის შეღებას, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ღონისძიებანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის საავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, განაცხადა დენტმა. ჩვენ უნდა ვიცადოთ შეევარჩიოთ ინტერესთა ერთობა, გამოვეთიშოთ დამოკიდებულება და მივაღწიოთ შემდგომ პროგრესს.

უთანხმოებანი თურქეთის მთავრობაში

ანკარა, 20 მაისი. (საკადესი). თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობას საჭიროდ მიაჩნია გამოვიდეს მთავრობის კოალიციიდან, რომელშიც, ამ პარტიის გარდა, აგრეთვე შედის ეროვნული ხსნის კლერიკალური პარტია.

უთანხმოებანი ორ პარტიას შორის მკვეთრად გამწვავდა მეკლესიაში კენჭისყრის შედეგად ამნისტიის კანონპროექტის გამო. ეროვნული ხსნის პარტიის წარმომადგენელ დეპუტატთა დიდმა ჯგუფმა მხარი არ დაუჭირა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის იმ წინადადებას, რომ კანონპროექტში დატოვონ მუხლები, რომლებიც იფარავენ პოლიტიკურ პატიმრებზე ამნისტიის გავრცელებას.

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის გენერალური თავმჯდომარე ბ. ეჯევითი შექმნილ ვითარებას განიხილავს ეროვნული ხსნის პარტიის ლიდერთან ნ. ერბაკანთან.

ახლანდელი მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ბ. ეჯევითი, შეიქმნა ოთხი თვის წინათ პარლამენტის არჩევნების შემდეგ, რომელიც გაიმართა 1973 წლის ოქტომბერში.

აწამებენ პოლიტპატიმრებს

ლონდონი, 21 მაისი. (საკადესი). თითქმის ყოველდღე „ამნისტიის“ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომლის შტაბ-ბინა ლონდონში მდებარეობს, მოდის ცნობები, რომ ბერძენ პოლიტპატიმრებს სულ უფრო ხშირად აწამებენ.

ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა მ. ენალზმა ლონდონში გამოსვლის დროს გამოთქვა შეშფოთება „სისტემატური წამების“ გამო, რასაც პოლიტპატიმრებისადმი მიმართავენ საბერძნეთში. მან დასახელა 12 კაცი, რომლებიც სასტიკად აწამეს. მათ შორის არიან საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. ამბატიელოსი და მსახიობი დ. ტოკასი.

სიონისტების პროვოკაციები

ნიუ-იორკი, 21 მაისი. (საკადესი). გრძელდება სიონისტების პროვოკაციები საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლების წინააღმდეგ ნიუ-იორკში. ნიუ-იორკის ერთ-ერთ რაიონში — ჯუნსში სიონისტებმა დაწვეს ავტომანქანა, რომელიც ეკუთვნოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომელს.

პოლიციამ განაცხადა, რომ „ვერ შეძლო ხელიგნების შეპყრობა“, თუმცა უკანასკნელებმა მაშინვე დარეკეს ასოშიეიტედ პრესის საagენტოს განყოფილებაში და თქვეს, რომ ერთ-ერთი სიონისტური ორგანიზაციის წევრები არიან.

ფოტოეტიუდი

ბუდაპეშტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის აეროდრომებზე ხშირად ეშვებიან საბჭოთა ლაინერები. უნგრეთში დიდად პოპულარულია საბჭოთა „ტუ-154“, რომლის მარკის თვითმფრინავები სისტემატურად დაფრინავენ უნგრეთის ავიაკომპანია „მალევის“ საჰაერო ხაზებზე.

სურათზე: საბჭოთა ლაინერი „ტუ-154“ ბუდაპეშტის ფერიხეგის აეროდრომზე.

მტი-საკადესის ფოტო.

სოციალიზმის ქვეყნებში

მ ძლავრ პოლონურ სატვირთო ავტომანქანებს „სტარს“, „ელჩს“, „ზუბრს“, ავტოფურგონებს „ნისას“, „ჟუკს“ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის გზატკეცილებზე შეხვდებით.

მიმდინარე ხუთწლედში პოლონეთის საავტომობილო მრეწველობა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება.

სურათზე: კონტეინერსაზიდი „ელჩი“ ვარშავის სადისპეტჩერო პუნქტში.

ცაფ-საკადესის ფოტო.



ფაქტი კომენტარით

მკვლელი მინისტრი

12 წლის წინათ ისრაელში სიკვდილით დასაჯეს პალესტინის მკვიდრი, სს-ის ყოფილი გენერალი და გესტაპოს ერთ-ერთი მესვეური ადოლფ აიმანი. სენსაციან საქმეში, რომელიც იერუსალიმის სასამართლომ შეადგინა, მას ბრალად ედება ებრაელთა „მოსპობის სისტემის“ შექმნა, ბავშვთა მასობრივი წინასწარგანზრახული დახოცვა. ისრაელის სასამართლოს განაჩენით, ა. აიმანი ჩამოახრჩვეს, მისი სხეული დაწვეს, ფერფლი კი ღია ზღვაში გაფანტეს. მიწამ არ მიიღო მკვლელი.

ახლა, თითქოს ბედის ირონიაა, ისრაელი ბავშვები ვერაგულად და წინასწარი განზრახვით დახოცეს ისრაელის მიწა-წყალზე. დღეს, მთელმა მსოფლიომ შეიტყო ქალაქ მაალოტის სახელი, სადაც ეს ბოროტმოქმედება მოხდა. მაგრამ ყველამ როდი მიაქცია ყურადღება იმას, რომ ამ დანაშაულს ხელმძღვანელობდა პალესტინის მკვიდრი გენერალი მოშე დაიანი. ჯერჯერობით მას ისრაელის თავდაცვის მინისტრის პოსტი უკავია.

აქ აღარ ვავიმეორებთ მაალოტის ტრაგედიის ამბავს. საგულისხმოა, თუ როგორ გამოეხმაურნენ ამ ამბავს მაალოტის მცხოვრებნი — ისრაელი ქალები და მამაკაცები, იმათი დედები და მამები, ვინც დახოცეს დაიანის ბრძანებით მათ თვალწინ. ისინი დაიანს შეხვდნენ გულისწყრომის შეძახილებით: „მოშე მკვლელია. მაშ სხვანაირად როგორც უნდა ეწოდოს გენერალს, რომელმაც, პირადად ჩაუდგა რა სათავეში თავით ფეხებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცთა რაზმს, იერიშით მიიტანა სკოლაზე, სადაც მხოლოდ სამი პალესტინელი და 90 ისრაელი ბავშვი იყო.

მხოლოდ გაკვირვებას იწვევს ის, თუ როგორ ბაკავს ეს ბოროტმოქმედება ა. აიმანის მიერ დაგეგმილ ჰიტლერელთა ცნობილ ოპერაციას, რომლებმაც გერმანელები მხოლოდ იმიტომ დახოცეს, რომ პოლონეთი დაეპყრათ!

ახლა მოშე დაიანი ხოცავს ისრაელებს, რათა შემდგომ ბრალი მომზდარი ამბისათვის სხვებს დააკისროს, გამონახოს საბაბი არაბული მიწების უკანონო ოკუპაციის გაგრძელებისათვის. ის სისწრაფე, რომლითაც მოშე დაიანმა „ფანტომები“ გაგზავნა მომაკვდინებელი ტვირთით ბეირუთის, ნაბათისა და საიდის მშვიდობიან უბნებში მწუხარების დასათესად და ნგრევისათვის, ყველაზე კარგად მოწმობს, თუ რისთვის დასჭირდა თავდაცვის მინისტრს პირადად ეხელმძღვანელა სკოლის ხელში ჩაგდებისა და ბავშვთა დახოცვისათვის.

მაისის დამდეგს მთელ ისრაელში გაიმართა დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ დაიანის გადადგომას, უწოდებდნენ მას „ომის მინისტრს“. ახლა მას უფრო გამომსსჭველ სახელს „მკვლელ მინისტრს“ უწოდებენ.

ს. კულიკი,

საკადესის მიმომხილველი.

ლისაბონის კომუნისტთა მიტინგი

ლისაბონი, 20 მაისი. საკადესს სპეც. კორ. ე. ქოვალიოლი იტყობინება: **ალიანდრას მუშათა რაიონში, რომელსაც უწოდებენ „პორტუგალიის კომპარტიის ციტადელს“, გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. იგი მოაწყო პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ლისაბონის საქალაქო კომიტეტმა.**

მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა მოუწოდეს პორტუგალელ მუშებს შეეიღონენ კომუნისტურ პარტიაში. პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „ავანტის“ დოროებითმა დირექტორმა, მეტალურგმა მუშამ, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ანტონიუ დიამ ლოურენსუმ აღნიშნა: „ჩვენ, კომუნისტები, მუშათა კლასის სინდისი ვართ, და მოვიყოფდით მუშებს და მთელ პორტუგალიელ ხალხს არ დაივიწყონ საფრთხე, რომელიც რევოლუციას ემუქრება“.

მან შეახსენა, რომ ფაშიზმმა დატოვა ბევრი სოციალური და პოლიტიკური პრობლემა და რომ ბრძოლის მთავარ ფრონტად რჩება პოლიტიკური ფრონტი. ქვეყნისათვის ძირითადი საფრთხე იქნებოდა შეიარაღებულ ძალებსა და სახალხო მოძრაობას შორის გათიშვა.

ქვეყნიდან გააძევეს

ლისაბონი, 20 მაისი. (საკადესი). პორტუგალიის დაახლოებული პრეზიდენტი ა. ტომაზი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი მ. კაეტანუ, რომლებიც პატიმრობაში იყვნენ მადეირას კუნძულზე, დღეს ქვეყნიდან გააძევეს. ეს განაცხადა პორტუგალიის დროებითი მთავრობის წარმომადგენელმა. მათ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ბრაზილიამ. ამასთან, ბრაზილიის ლისაბონის საელჩომ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება „მაინც და მაინც დიდი სიამოვნებით“ არ მიუღიათ და მხოლოდ იმ პირობით, რომ მ. კაეტანუ და ა. ტომაზი არ განაგრძობენ პოლიტიკურ საქმიანობას.

უკანასკნელ საათს

კონსტიტუციის პროექტის განხილვა

ადის-აბება, 21 მაისი. (საკადესი). ეთიოპიის დედაქალაქში დამთავრდა ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, რომელიც საპარლამენტო კომიტეტის 5 კომისიაში მიმდინარეობდა. ეს განაცხადა კომიტეტის წარმომადგენელმა. მუხლების შეფუშავებული პროექტები განსახილველად წარუდგენეს კომიტეტის პლენარულ სხდომის მონაწილეებს. საკონსტიტუციო კომიტეტის მიერ ახალი კონსტიტუციის პროექტის დამტკიცების შემდეგ იგი გადაეცემა მოსაწონებლად პრემიერ-მინისტრს.

ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის

ბაღდადი, 21 მაისი. (საკადესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის კომპარტიის მინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ე. პოლიაკოვი, შეხვდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის (ბაასი) ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს.

საბჭოთა სტუმრები მიიღო ბაასის პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ნაიმ ჰადადმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსკკ და ბაასის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაფართოებას. დელეგაციებმა მასპინძლებს გაუზიარეს აზრი პარტიათაშორისი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების შესახებ.

აშენებენ სასტუმროებს

ბაღდადი, 21 მაისი. (საკადესი). 8 სასტუმრო, ათობით კემპინგი და ტურისტული ცენტრი აშენდება უახლოეს წლებში ცნობილ ერაყის რაიონებში, რომლებიც განთქმულია ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. ამ მიზნებისათვის ასიგნებულია 25 მილიონი ერაყული დინარი.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის ერაყში უცხოელ ტურისტთა ჩამოსვლას.

ტაილანდის მთავრობა გადადგა

ბანგკოკი, 21 მაისი. (საკადესი). ტაილანდის მთავრობა პრემიერ-მინისტრის სანია ტამასაკის მეთაურობით დღეს გადადგა. როგორც ტაილანდის პრესა აღნიშნავს, ეს გადაწყვეტილება მიღებულია ქვეყანაში ვითარების გამწვავებასა და სეროზულ ეკონომიურ სიძნელეებთან დაკავშირებით. აქ გამოაცხადეს, რომ არმია გამზადებულია საბრძოლველად.

ტელეტაიპის ლენტიდან...

საერთაშორისო შენიშვნები

უნდობლობის სიო პოტომაკის ნაპირებთან

თემორ სახლს რომ ჩრდილი მიადგა, ამაზე დღეს აღარავინ აღარ დავობს.

მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატები აღარ არის ატომური იარაღის მონოპოლიური მფლობელი და საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძლიერება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების გარანტი გახდა, ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში თანდათან პროგრესული ძალების სასარგებლოდ შეიცვალა.

სოციალიზმის ძალებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიული კავშირი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მთელი საერთაშორისო ვითარება.

ბუნებრივია, რომ ეგრეთ წოდებული „მესამე სამყაროს“ სახელმწიფოების უმრავლესობა, რომლებიც გუშინ კოლონიური ქვეყნები იყვნენ, დღეს დარწმუნდნენ შეერთებული შტატების შენიღბულ საგარეო პოლიტიკაში და აღარ მისდევენ ამ საგარეო პოლიტიკის ფარგალებს. ვაშინგტონი თანდათან კარგავს ავტორიტეტს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

ფაქტები საძეგბარი როდია. ვიეტნამის ომის შემდეგ, სადაც პენტაგონმა ბარბაროსული ომის წარმოებით გაუსწრო ჰიტლერულ გერმანიას, ვაშინგტონის სახე მკვეთრად გამოიკვეთა განსაკუთრებით იმ ხალხებისათვის, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. უწინარეს ყოვლისა მხედველობაში გვყავს არაბი ხალხები, რომლებმაც უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ოთხჯერ გაიჭიდეს ისრაელის შეიარაღებული ძალების თავდასხმა. პენტაგონით ბანამამეულმა ტელ-ავივმა მეოთხე ომში საკადრისი პასუხი მიიღო, რომელმაც გაფანტა ისრაელის უძლეველობის მითი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გაკვეთილი მისთვის საკმარისი არ არის.

არაბმა ხალხებმა, და არა მარტო მათ, ზუგრი შეაქციეს თვარ სახლს და ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ იმაში, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ბოლომდე მათი ერთგულნი არიან. თვით საუდის არაბეთმა, რომელსაც შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცერნნობოდნენ არაბულ სამყაროში, ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ნავთობი, როგორც პოლიტიკის იარაღი და. უწინარეს ყოვლისა, იგი ვაშინგტონის წინააღმდეგ მიმართა.

ქართული ანდაზაა: კაცი ხატს შეეშვა და შეაფურთხა კიდეცო. ასე ხდება ამერიკის მიმართ განვითარებად ქვეყნებში. ადრე საკმარისი იყო „ყოველისმძლე“ შეერთებულ შტატებს რომელიმე ამ ქვეყანაში სტუმრობის ხურვალი გამოეთქვა, რომ ყველა ფეხქვეშ დაეგებოდა ვაშინგტონის წარმომადგენელს „სულიერი“ იქნებოდა იგი თუ „უსულო“. დღეს კი ასე როდია. მალაგასის რესპუბლიკაში ნება არ დართო შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ტაქტიკური შენაერთის საუსაკადრო ნაღმსნებს შესულიყვნენ მალაგასის ნავსადგურ დიეგო-სუარესში.

ზოგიერთი აშკარად გმობს პენტაგონის ღონისძიებებს და მოითხოვს თეთრმა სახლმა ხელი აიღოს „ძალის პოზიციაზე“ და ანგარიში გაუწიოს ხალხთა ისეთ საკრებულოს, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. ამას წინათ ტანზანიის მთავრობამ თავის განცხადებაში მოითხოვა ამერიკის სამხედრო ხომალდების გაყვანა ინდოეთის ოკეანიდან და ბრალი დასდო ამერიკის მთავრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის დარღვევაში.

ავტორიტეტი, ნდობა ვაშინგტონმა ნარტო განვითარებად ქვეყნებში როდი დაკარგა. დღეს ეს რწმენა მის ნატოელ მოკავშირეებსაც შეეყოთ. და ეს ყველაზე უფრო აშკარად გამომეღავნდა არაბეთ-ისრაელის ოქტომბრის ომში. ინგლისმა, რომელიც ნატოს ჩაუძირავი ავიამზიდია, უარი უთხრა ამერიკას მისი სამხედრო ბაზები გამოეყენებინა საჰაერო ხიდად კვიპროსზე ისრაელისათვის სამხედრო ტვირთის მისაწოდებლად. თვით გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უფლება არ მისცა პენტაგონს სამხედრო დახმარება მიეწოდებინა ისრაელისათვის მის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ბაზებიდან. ნოკლედ რომ ვთქვათ, ნატოს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ მაარი არ დაუჭირა პენტაგონის სამხედრო აქციებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ შეეცვალთ ოქტომბრის ომში განადგურებული „ფანტომები“, „სკაიჰოკები“, ტანკები „მ-60“ და სხვ.

ფაქტიურად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა და ამერიკის შეერთებული შტატების ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

ეს დაადასტურა ბრიუსელის მახლობლად ევერში, ნატოს შტაბ-ბინაში გამართულმა ნატოს საბჭოს დეკემბრის სესიამ, რომელიც მიმდინარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. სესიაზე მთელ რიგ საკითხებში გამოვლინდა ღრმა უთანხმოება აშშ-ს და მის პარტნიორებს შორის. კერძოდ მოკავშირეები უკმაყოფილო იყვნენ იმის გამო, რომ ამერიკამ მათ დაუკითხავად გადაწყვიტა ერთ-ერთ ევროპელ მოკავშირეს, ანკარას, ბრძოლა ეწარმოებინა ისეთი ცხარე კამათი, როგორიც ინგლისს „როლინგ სტონუნზმა“ გამოიწვია. ზოგიერთი მას „გაბოროტებულ“ მუსიკას უწოდებს, ხოლო მის შემსრულებლებს „ბოროტ ჰაბუკებს“, და რომ ისინი სულაც არ ჰგავანან „სანდომიან ბიტლებს“ მაგი „ნაზი მუსიკით“; მეორენი მას „უდიდეს ანსამბლად“ თვლიან; მესამენი — წმინდა კომერციულ საწარმოს უწოდებენ. მაინც ვინ არიან ეს სენსაციური „როლინგები“ — მუსიკოსები, სკანდალისტები თუ კომერსანტები?.. თავად განსაჯეთ.

სახელწოდება „როლინგ სტონუნზი“ წარმოდგება მადი უოტერსის ცნობილი მელოდიიდან „დაგორებული ქვის ბლიუზი“, ამდენად ჯგუფის სახელწოდება დაახლოებით ნიშნავს „ქვათაცვენას“. კენიტეტი „შეიქმნა“ დაახლოებით 12 წლის წინათ შემდეგი შემადგენლობით: მიკ ჯეგერი — ვოკალისტი, „როლინგების“ ვარსკვლავი, და სულისჩამდგმელი; კიტ რიჩარდი — სოლო-გიტარა, ჩარლი უოტსი — დასარტყამი ინსტრუმენტი, ბილ უაიმენი — ბას-გიტარა, ბრაიან ჯონსი — რიტმ-გიტარა. ერთადერთი ცვლილება ამ შემადგენლობაში მოხდა ამ ოთხი წლის წინათ, როცა გიტარისტმა მიკ ტეილორმა შეცვალა ბ. ჯონსი, რომელიც ნარკოტიკის გადამეტებულად დიდი დოზით მიღებისაგან გარდაიცვალა.

თუმცა ანსამბლის მუდმივ შტატში მათ გარდა კიდევ ორმოცდაათი კაცი ირიცხება: განმანათლებლები და ხმის ოპერატორები, მუსიკალური ინსტრუმენტების შემკეთებელი, გამოცდილი ექიმი სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად, მძღოლი და, ბოლოს, კუნთმაგარი მცველები. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით „მნიშვნელოვან“ ფუნქციას ასრულებენ—უზრუნველყოფენ კლიტეტის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას.

კი, მაგრამ ვისგან იცავენ?

წარმოიდგინეთ ვეებერთელა, ხალხით გაჭედილი დარბაზი, თამბაქოს სქელი კვამლი, მარიხუანას სუნი რომ დაჰკრავს, დაძაბული მოლოდინი. ხელკეტებით შეიარაღებული მცველები სცენის გასწვრივ დგებიან. მათ დიდი სამუშაო ელით. და აი კულისებიდან გამოდიან ველური შესახედაობის „როლინგები“. ტალახისფრად მოთხუპნული სხეულები, გრძელი დაუვარცხნელი თმა, გამომწვევი ტანსაცმელი. დარბაზში ღრიანცელია. მძაფრი, აგრესიული მუსიკის პირველი აკორდები. მიკ ჯეგერი იწყებს ბალადას შეაღამის ყანაზეზე. შემსრულებლები თანდათან ძალიერებენ ჰეიოტაჟს და ისტერიას დარბაზში. ისინი გაჰკივიან რაღაც არაადამიანური ხმით, ნაფოტებად აქცევენ ინსტრუმენტებს, და ბოლოს ზედა ტანსაცმელს იხდიან და დარბაზში ყრიან. ასობით ჰაბუკი და ქალიშვილი წეწა-გლეჯით ცდილობს გადმოყრილი ტანსაცმლის თუნდაც ერთი ნაკუწი მაინც ჩაგდოს ხელში. დაცვა ძლივს აყავებს ფანატიკოსებს. წარმოდგენა მთავრდება.

„სიკვდილის კონცერტი“ უწოდა დასავლეთის პრესამ ანსამბლის გამოსვლას კალიფორნიის შტატში.

ქალაქ ალტამონტის მახლობლად დიდ ავტოდრომზე გაიმართა უფასო კონცერტი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ და პოლიციამ არ იკისრეს კონცერტის დროს წესრიგის დაცვა, მაგრამ ამ ნაჭმეს სათავეში ჩაუდგნენ მოტორიზებული ბანდის „ჯოჯოხეთის ანგელოზების“ წევრები. ეგელოსიპედის მიმე ჯაქვები, ალკოტებითა და ხელკეტებით შეიარაღებული „ანგელოზები“ დაერივნენ „როლინგ სტონუზის“ ავტობუსში ჩავარდნილ თაყვანისმცემლებს და თავ-პირი დაულეწეს. ამის შემდეგ მიკ ჯეგერი უტიფრად დათანხმდა, რათა ფართო აუდიტორიისათვის ეჩვენებინათ ფილმი „სიკვდილის კონცერტის“ შეაჯაგ. რას იზამ, ბიზნესი ბიზნესია.

სკანდალური თაგვგადასავალი, ნარკოტიკებით ვაჭრობა — აი „როლინგების“ ნამდვილი სახე. მათ არ აქვთ იდეალი — მათი სიმღერების გმირები არიან აშკარა ნაიირალები, ცხოვრებისაგან დაღლილი და ატროფირებული ადამიანები.

„აოგენენ“ რა მსმენელებს, „როლინგები“ თავიანთ სკანდალურ ბიზნესს აკეთებენ. მარტო ამასწინანდელმა ტურნემ ამერიკაში მათ 4 მილიონი დოლარი მოუტანა.

ახალი ამბების საagენტო.

ხელოვნება უცხოეთში

ვინ არიან „როლინგები“?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ეროვნულ-ინსტრუმენტულ ანსამბლს არ გამოუწვევია ისეთი ცხარე კამათი, როგორიც ინგლისს „როლინგ სტონუნზმა“ გამოიწვია. ზოგიერთი მას „გაბოროტებულ“ მუსიკას უწოდებს, ხოლო მის შემსრულებლებს „ბოროტ ჰაბუკებს“, და რომ ისინი სულაც არ ჰგავანან „სანდომიან ბიტლებს“ მაგი „ნაზი მუსიკით“; მეორენი მას „უდიდეს ანსამბლად“ თვლიან; მესამენი — წმინდა კომერციულ საწარმოს უწოდებენ. მაინც ვინ არიან ეს სენსაციური „როლინგები“ — მუსიკოსები, სკანდალისტები თუ კომერსანტები?.. თავად განსაჯეთ.

სახელწოდება „როლინგ სტონუნზი“ წარმოდგება მადი უოტერსის ცნობილი მელოდიიდან „დაგორებული ქვის ბლიუზი“, ამდენად ჯგუფის სახელწოდება დაახლოებით ნიშნავს „ქვათაცვენას“. კენიტეტი „შეიქმნა“ დაახლოებით 12 წლის წინათ შემდეგი შემადგენლობით: მიკ ჯეგერი — ვოკალისტი, „როლინგების“ ვარსკვლავი, და სულისჩამდგმელი; კიტ რიჩარდი — სოლო-გიტარა, ჩარლი უოტსი — დასარტყამი ინსტრუმენტი, ბილ უაიმენი — ბას-გიტ

წერილი რედაქციას

ფრიად საშური, მოსაგვარებელი საქმე

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა სრული აკადემიური გამოცემისათვის

ამა თუ იმ მწერლის ან პუბლიცისტის სრულყოფილი შესწავლა, მათი მსოფლმხედველობის მკაფიოდ გამოვლინება და თვითეული მათგანის ადგილის განსაზღვრა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში ყოვლად შეუძლებელია, თუ ხელთ არ გვექნება მათი ლიტერატურული, პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობის სრული აკადემიური გამოცემა.

განსაკუთრებული ზრუნვა XIX საუკუნის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის გამოცემისა-თვის საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, კერძოდ 30-იანი წლებიდან დაიწყო.

მიუხედავად ამისა, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ კლასიკოსთა მემკვიდრეობის გამოცემის საქმე ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას და იგი ვერ აკმაყოფილებს მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს.

შეიძლება მეორეხარისხოვან მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თხზულებების სრული აკადემიური გამოცემა საშური საქმე არ იყოს, რადგან ისინი გადამწყვეტ როლს არ ასრულებდნენ ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენების მსჯელობაში, მაგრამ უეცილობელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფილი შესწავლა ყოვლად შეუძლებელია, თუ სრულად და აკადემიურად არ იქნა გამოცემული ქართველი კლასიკოსებისა და პირველ რიგში ილია ჭავჭავაძის უმდიდრესი მემკვიდრეობა.

ცნობილმა მკვლევარმა პაავლე ინგოროყვამ უდიდესი საქმე გააკეთა, ილ. ჭავჭავაძის ათტომეულის გამოცემით. მეტად შრომატევადი მუშაობა ჩაატარა მან ილიას ტექსტის დადგენისა და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრისათვის.

პ. ინგოროყვას მიერ გაკეთებულ თვითეული ტომის სარედაქციო შენიშვნებში და კომენტარებში მრავალი საკითხი ამოტივტივდა, რაც შემდგომი კვლევის საგანი გახდა.

მრავალი წლის განმავლობაში ეს გამოცემა წარმოადგენდა ძირითად წყაროს ქართველი მკვლევარებისათვის დიდი მწერლისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობის შესასწავლად.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამისთვის სახელოვან მკვლევარს მადლობის მეტი რა ეთქმის!

მაგრამ პ. ინგოროყვას რედაქტორობით გამოცემული ილიას თხზულებათა ათტომეული არ არის აკადემიური გამოცემა და, რაც მთავარია, მასში სრულად არ არის წარმოდგენილი ილიას მდიდარი მემკვიდრეობა.

ილიას პუბლიცისტური მემკვიდრეობა კი გაცილებით მეტია. ვიდრე მას დღეს იცნობს ფართო მკითხველი საზოგადოება ათტომეულის სახით.

ჯერ კიდევ ათი წლის წინ ქართულ პერიოდულ გამოცემათა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ფუძემდებელმა თამარ მაჭავარიანმა და ყვარლის ი. ჭავჭავაძეს სახელობის სახლ-მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა კლაკონ ვეფულავამ გამოაქვეყნეს 1886-1896 წწ. მანძილზე „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ილიას ასამდე უცნობი წერილი, რომელნიც ფრიად აქტუალურ პრობლემებს ეხებიან, მაგრამ არცერთი ამ წერილთაგანი არ არის შესული ილიას ათტომეულში.

ვაზ. „დროებაში“ ილ. ჭავჭავაძის თანამშრომლობის ავალი 1875 წლიდან შეინიშნება. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული „დროებაში“ მისი თანამშრომლობა ადრეული წლებშიც. 1864 წლიდან 1877 წლამდე ილიას საკუთარი პერიოდული ორგანო არ ჰქონდა, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ გარდა „კრებულისა“ იგი „დროებაშიც“ მოთავსებდა წერილებს, განსაკუთრებით დუშეთიდან დაბრუნების შემდეგ.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ 1880-81 წწ. „დროებას“ ს. მესხთან ერთად ი. ჭავჭავაძეც რედაქტორობდა.

ყოველად შეუძლებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში მას „დროებაში“ მხოლოდ ოთხი წერილი დაებეჭდა, რომელიც ათტომეულშია შეტანილი, სიერთოდ, ათტომეულში „დროებიდან“ ილიას ათიოდე წერილიც კი არ შესულა, საჭიროა ილიას წერილების გამოვლინება „დროების“ ფურცლებზე. ამის საშუალებას გარდა „დროების“ კომპლექტებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობისა სხვა წყაროებიც იძლევიან.

ილიას მემკვიდრეობას უნდა დაუბრუნდეს ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში „სფინქიდონისა და თადეოზის ბაასი“, რომელიც 1927 წ. პ. ინგოროყვას მიერ შეტანილი იყო ილიას თხზულებათა IV ტომში. ხოლო შემდეგ უსაფუძვლოდ იქნა ამოღებული ათტომეულიდან.

ილიას რედაქტორული მუშაობის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენდა გაზეთის მოწინავეში დაყენებული საკითხის ირგვლივ მსჯელობის გაგრძელება რამდენიმე წერილში, ანდა რამდენიმე წერილში გატარებული აზრის შეჯამება მოწინავე წერილის სახით, რათა უფრო ნათლად გამოეკვეთა პრობლემის არსი.

ცნობილია ილიას პოლემიკური წერილი „სანდალას წიგნის გამო“, რომელიც მეთაურის სახით დაიბეჭდა 1888 წლის „ივერიის“ 193-ე ნომერში. ამ წერილში შეჯამებულია „ივერიის“ 191, 192 და 193 ნომრებში დაბეჭდილ ვრცელ ფელეტონში გამოთქმული შეხედულებანი ზ. ჭიჭინაძის წიგნზე — „წერილები ქართულს მწერლობაზე“. სამივე ფელეტონი, რომელიც ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენს, ხელმოწერელია, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ იგი ილიას კალამს ეკუთვნის. წერის განსაკუთრებული ინდივიდუალური მანერა, ეპითეტები, შედარებები, ირონია და სარკაზმი, აზრების და თვით ფრაზების დამთხვევაც კი ზემოხსენებულ მოწინავესთან და ილიას სხვა პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებთან საკმაებით ნათელს ხდიან, რომ სამივე ნომერში დაბეჭდილი ფელეტონის ავტორი ილ. ჭავჭავაძეა. ამიტომ ეს ფელეტონიც უნდა შევიდეს მის თხზულებათა მომავალ გამოცემაში.

ცნობილია ის ფაქტი, რომ „ივერიელის“ ფსევდონიმით მხოლოდ ილია წერდა, 1906 წლის 23 მარტის „ცნობის ფურცელში“ ამ ფსევდონიმით დაბეჭდილია წერილი „იმერეთის თავად-აზნაურობის სულმოკლეობა“. წერილი მიმართულია იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც ცარიზმმა 1905 წ. მიმართა. რომ ეს წერილიც ილიას კუთვნის, ამას ადასტურებს არა მხოლოდ მისი ცნობილი ფსევდონიმი, არამედ — ლექსიკა, ფრაზეოლოგია, წინადადებათა კონსტრუქცია და ის შეუპოვრობა და სითამამე, რაც ილიას ახასიათებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (შეადარეთ ზემოხსენებული წერილი მაგალითად, ილიას მოკლე კონსპექტს სკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ 1907 წ.). ცხადია, ილიას მომავალმა გამომცემელმა არ შეიძლება ეს წერილი უყურადღებოდ დატოვოს.

სავარაუდებელია, რომ ქართულ პერიოდულ პრესაში ილიას სხვა წერილებიც აღმოჩნდება, მაგრამ მათ საგულდაგულო ძიება სჭირდებათ.

საძიებელია ილიას წერილები რუსულ პერიოდულ პრესაშიც და არქივებშიც. დღეისათვის ცნობილია, მაგალითად, რუსულად დაწერილი კრიტიკული წერილი, რომელიც თბილისის ოლქის სასამართლოს პრაქტიკის საკითხს ეხება, მაგრამ ფაქტიურად წარმოადგენს ბრწყინვალე გამოკვლევას ხიზნების შესახებ. ილიას ეს გამოკვლევა სრული ხელმოწერით დაიბეჭდა რუსეთის საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულებების ყრილობის მასალებში. სამწუხაროდ, არც ეს გამოკვლევა შესულა ილიას ათტომეულში. ასევე არ შესულა ილიას მრავალი წერილი „აღკაზიდან“, „ობზორიდან“, „ნოვოე ობზრენიედან“ და „ტიფლისკი ვესტნიკიდან“, ამ წერილების ერთი ნაწილი აღნუსხულია თ. ნაკაშიძის და ნ. კორძაიას მიერ გამოცემულ ილიას ბიბლიოგრაფიაში.

ის გარემოება, რომ ზემოხსენებული მასალები უცნობია არა თუ ფართო მკითხველისათვის, არამედ მკვლევართა ერთი ნაწილისთვისაც, აფერხებს საზოგადოებრივი აზრის რიგი პრობლემების ღრმად წვდომას.

სიზუსტის თვალსაზრისით გადასინჯვას მოითხოვს ათტომეულში შესული ტექსტებიც. იმ შემთხვევაში, როცა ავტორადი არ მოიპოვება, რედაქტორი ეყრდნობა ნაბეჭდ ტექსტს და მას მიიჩნევს პირველად წყაროდ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ათტომეულში დაბეჭდილ ტექსტსა და ე. წ. პირველად წყაროს შორის განსხვავება შეინიშნება. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდებით.

ილიას პირველი კრიტიკული სტატია „ცისკარში“ დასათაურებულია ამგვარად: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედ“. რედაქტორს ეს სათაური ამგვარად შეუსწორებია: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის მიერ „შემლილი“-ს თარგმანზედ“. უდავოა, რომ რედაქტორისეული ეს რედაქცია მკითხველს არაფერს ეუბნება. გადასმულია სტრიქონების რუსთველის სტროფში (ტ. III, გვ. 7), ასევე — გრ. ორბელიანის დასახასიათებლად მოყვანილ სტროფში (ტ. III, გვ. 248), რაც არღვევს აზრის ლოგიკურ მსვლელობას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია იყო სალიტერატურო ენის მეხვეური და მისი სულის ჩამდგმელი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ილიას ენა ერთი გარკვეული საფესურია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში, რის გამო ილიასეულ დამწერლობას უდიდესი მეცნიერულ-ისტორიული ღირებულება გააჩნია. ამიტომ აკადემიურ გამოცემამში ყოველი სიტყვა უნდა იბეჭდებოდეს ისე, როგორც მას ილია წერდა.

თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ ათტომეულს, ადვილად შეინიშნება მთელი რიგი ხარვეზები. მაგალითად, ილია წერს: სწორედ, განმარავს, ხედვენ, ძალგმნიდა, ბუზათ, შენის ქვეყნის, თვითეული, ადვილად გასაგების მიზეზისა გამო, ნუგეშს ეცემს ეკვს და სხვ. რედაქტორი ასწორებს: სწორად, განმარავს, ხედვენ, თარგმნიდა, ბუზად, შენი ქვეყნის. თვითეული, ადვილად გასაგები მიზეზის გამო, ნუგეშს სცემს და სხვ. ასეთი მაგალითები არც თუ მცირეა. მართალია, ჩასწორებანი არ სცვლიან სტატიების აზრს, ხშირ შემთხვევაში რედაქტორისეული სწორება თანამედროვე ქართულის მიხედვითაც გამართული ბულია. მაგრამ ასეთი რამ შეიძლება დაგვშავათ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში და არა აკადემიურ გამოცემაში.

ათტომეულში მასალა განლაგებულია თემატური პრინციპის მიხედვით: წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, პრესა, ფელეტონები, ერი და ისტორია, ანლობენები და შორეულნი, შინაური მიმოხილვები, წერილები სახალხო განათლების საკითხებზე და ა. შ.

თემატური პრინციპის დაცვა XIX საუკუნის ქართველ პუბლიცისტთა და კრიტიკოსთა ნაწარმოებთა გამოცემის დროს მეტად ძნელია, რადგან მთელ რიგ წერილებში ისინი მრავალ საკითხს ეხებიან. ავიღოთ, მაგალითად, V ტომში მოთავსებული 1879 წლის შინაური მიმოხილვა, იგი, გარდა სხვა საკითხებისა, ეხება სახალხო განათლებისა და პრესის საკითხებსაც. - წერილების ერთი წყება კი, რომელნიც პრესას ეხებიან, შეტანილია III ტომში, ხოლო წერილები სახალხო განათლების საკითხებზე — IV ტომში. თუ მასალის განლაგების თემატურ პრინციპს ბოლომდე დავიცავთ, მაშინ ყველა წერილი, რომელიც პრესას ეხება, ერთ ტომში უნდა მოგვეთავსებინა, მაგრამ ეს წერილები განლაგდა III და VIII ტომში, ანდა, განა ის წერილები, რომელნიც პრესას ეხებიან, არ შეიცავენ ავტორის ძვირფას შეხედულებებს ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე? მაშ რაღა საჭირო იყო მათი გამოყოფა ცალკე რუბრიკით: „პრესა“ ან „პრესა და ცხოვრება“?.

საქართველოს ისტორიის საკითხებზე ილიას სპეციალური წერილები მოეძოვება, მაგრამ მას აქვს ისეთი წერილებიც, რომელნიც თუმცა უშალოდ საქართველოს ისტორიას არ ეხებიან, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებზე საკმაოდ ვრცელი მსჯელობა და საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული. რომელი რუბრიკის ქვეშ მოგვეთავსებინა ასეთი წერილები?

წერილები, რომელნიც საქართველოს საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საქმეებს ეხებიან, მოთავსებულია VII ტომში, მაგრამ 1883 წლის იანვრის და აპრილის შინაური მიმოხილვებიც ხომ ამ საკითხს ეხებიან? მაშ რატომ მოსდა ეს წერილები V ტომში, თუ თემატური პრინციპით ვხელმძღვანელობთ?

ჩვენ მიერ მოყვანილი რამდენიმე მაგალითი იმის ნათელი მაჩვენებელია, რომ თემატური პრინციპით ილიას პუბლიცისტური მემკვიდრეობის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ქრონოლოგიური პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამ პრინციპის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ დიდი მოაზროვნის მსოფლმხედველობის ევოლუციას.

კომენტარები და სარედაქციო შენიშვნები, რომელნიც ათტომეულს ერთვის, ეხებიან ტექსტებს და მის ვარიანტებს. მათში საუბარია იმის შესახებ, თუ როდის და სად დაიბეჭდა ესა თუ ის ნაწარმოები, დადგენილია დაწერის თარიღი, აღდგენილია ცენზურის მიერ გამოტოვებული ადგილები, წარმოდგენილია ზეციერთი წერილის ისტორია, გასწორებულია კორექტურული შეცდომები და სხვ. ყოველივე ეს მკვლევარის მიერ მეცნიერული სიღრმით არის შესრულებული. მაგრამ თვით ტექსტებში გვხვდება მრავალი საკითხი, რომელთა კომენტირებაც აკადემიური გამოცემისათვის არა თუ აუცილებელი, არამედ სავალდებულოც არის, ისე, როგორც სავალდებულოა ყოველ ტომს დაერთოს პირთა და სახელთა საძიებელი, რაც ათტომეულს არცერთ ტომს არ ახლავს.

საბჭოთა ხალხმა ილიას რამდენიმე იუბილე გადაიხადა, ბევრი რამ გაკეთდა მისი სახელის უკვდავსაყოფად, მაგრამ ყველაზე ძვირფასი და უკვდავი ძეგლი, რომელსაც საზოგადოება თვის დიდებულ შვილს დაუდგამს, იქნება მის თხზულებათა სრულყოფილი აკადემიური გამოცემა, რომელსაც მოელის ქართველი მკითხველი.

იოსებ გოცვაძე,
პროფესორი.

უფასო საგზურებით

თითქმის 700 ათას მანეთს გაიღებს წელს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო სამამულო ომის, შრომის ინვალიდებისა და პერსონალური პენსიონერების სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის. ეს 115 ათასი მანეთით მეტია, ვიდრე შარშან, გაზრდილა ასიგნებანი შესაძლებელს გახდის ბევრად გაუმჯობესდეს ომისა და შრომის ინვალიდთა უზრუნველყოფა სანატორიუმების საგზურებით.

მომდინარე წლის პირველ სამ თვეში სოციალური უზრუნველყოფის უფასო საგზურებით წყალტუბოს, ბორჯომისა და რეს-პუბლიკის სხვა კურორტებში, აგრეთვე კისლოვოდსკის, ჟელეზნოვოდსკისა და ესენტუკის ჯანმრთელობის კერებში **დაისვენეს** 1400 ინვალიდმა და პენსიონერმა.

წელს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კურორტებზე უფასო საგზურებით დაისვენებს და ამკურნალებს საქართველოს 7 ათასამდე პენსიონერი. (საქინფორმი).

წიგნის თარო

ვახტანგ ბურგენიძე — „კულტურის ამაღლება სოფლად და ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები. რედაქტორი თ. ზარგინაკა. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა.

ვახტანგ პარათაშვილი — „ბავის ბულბული. რომანი, რომელის ავტორია შორეული ნათესაობის კაპიტანი, ასახავს ბავიელი ხალხის ცხოვრებას ამერიკელ იმპერიალისტთა უღელქვეშ. რედაქტორი ნ. აბესაძე. მხატვარი ი. გუკიელა. „საბჭოთა საქართველო“.

ერემია თავაძე — „**ბუზენვალდი არ უნდა განმეორდეს.** ავტორი, ბუზენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვე, თავის წიგნში მოგვითხრობს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლებზე. რედაქტორი ლ. ბეჟანიძე, მხატვარი თ. დიასამიძე. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „**საქართველოს სოფლის მეურნეობის**“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწინავე წერილით „ყამირის ათვისების ოცი წელი“; აქვე დაბეჭდილი საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივნის ნ. გავაშელის სტატია „**ჩვენი საბრძოლო ამოცანები**“; რუბრიკით „**სოციალისტური შეჯიბრების დროშით**“, ჟურნალში გამოქვეყნებულია ი. კორინთელის, ნ. ჩიგოგიძისა და ე. ასლამაზიშვილის წერილები; „**გავაფართოებოთ თუშური ცხვრის პროდუქტიულობა**“. ამ სათაურით ჟურნალში დაბეჭდილია პროფესორ ა. ნატროშვილის, ა. ქორიძისა და მ. ყოჩიაშვილის წერილი, ჟურნალის ახალ ნომერში გამოქვეყნებულია ავრეთვე ბევრი საინტერესო მასალა, რომლებიც სოფლის მეურნეობის ძირითად პრობლემებს ამოქმედენ.

თბილისური პრემიერები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა წარმოადგინა პრემიერა — იტალიელი კომპოზიტორის პერგოლეზის კომიკური ოპერა „მოსამსახურე — ქალბატონი“. სპექტაკლის დირიჟორია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, დამდგმელი რეჟისორი — ტ. ბუხბინდერი, მსატვრული გაფორმება ეკუთვნის ნ. იგნატოვს, ქორეოგრაფია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ზარეცკი.

ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე ნაჩვენები იქნა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“. ოპერეტის მუსიკის ავტორია ნ. გაბუნია, ლიბრეტო ეკუთვნის პ. გრუზინსკის, წარმოდგენა დადგა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. აბაშიძემ.

სურათებზე: ზემოთ — სცენა ხუეტაკალიდან „მოსამსახურე —ქალბატონი“, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ლ. ჭეონია — სერპინი და ი. შუშანია — უბერტო; მარჯვნივ მსახიობი ი. ვასაძე ყვარყვარეს როლში.

მწერლები ადამიანს ემსახურებიან

...ხოჯო მაკროცენტრუსს შეუიარაღებელი თვალითაც კი შეამჩნევთ, რომ ძალიან წაგაგავს მხედარს. „თავს ესხმის“ რა აღმოსავლურ ნაყოფამიას, ბალების მავნებელს, მაკროცენტრუსი თავისი კვერცხისსადებით ისარივით გმირავს მავნებელს. სასარგებლო მწერის ჭუკრები გამრავლების დროს სპობენ ნაყოფამიას, დაახლოებით 80 პროცენტით ამცირებენ მის მავნებლობას.

დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბუნებრივი საკარანტინო მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის ლაბორატორიის კოლექტივი საქართველოს სს რესპუბლიკაში. აქ, ბათუმის მიდამოებში შემოჰყავთ სასარგებლო მწერები დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან და მათ სწავლობენ, აშრავლებენ, შემდეგ კი იყენებენ მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბიოცენზი — ეს არის ამ ტერიტორიაზე მობინადრე მცენარეთა და ცხოველთა კომპლექსი. მრავალსაუკუნოვანი ევოლუციური განვითარების პროცესში ისინი ეგრეთნაირ ერთად მინდარობს. მაგრამ თუ ამ გარემოში ხდება ახალი სახეობის მცენარე ან ცხოველი თვისი მტაცებლებისა და პარაზიტების გარეშე, მაშინ შეიძლება იგი მასობრივად გამრავლდეს და მთელ რიგ შემთხვევებში უდიდესი ზიანიც მოგვიტანოს. ეი, სწორედ მაშინ ეხმარება ქვეყნის სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი.

ფრთათეთრა ციტრუსოვანთა საშიში მტერია. როცა იგი აჭარის პლანტაციებში გამოჩნდა, ბათუმელმა ბიოლოგებმა მის წინააღმდეგ გამოიყენეს სოკო — „ასოროშენა“, რომლის სხვადასხვა სახეობანი ჩვენში შემოტანილია იაპონიიდან, კუბიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ტრინადატიდან. მან ფრთათეთრას მავნებლობა პრაქტიკულად თითქმის ნულამდე დაიყვანა. ხოჭო „ლეისს“ კი წარმატებით იყენებენ ჩაის ბუგრის წინააღმდეგ.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ბიოლოგები ხოჭოებს, რომლებსაც ჭიამაიებს ეძახნი. ამ სახეობის ხოჭოები წარმატებით ემსახურებიან ადამიანს.

ლაბორატორიის დირექტორმა, აჭარის ასსრ დამსახურებულმა აგრონომმა ალექსი ანთაძემ ილაპარაკა ახალ პრობლემებზე, რომლებზეც მუშაობენ ბიოლოგები. წარმატებით სცდიან იაპონიიდან ახლახან მიღებულ მწერს მიკროტერის — კლაუზენს. ხოჭოს გამოიყენებენ ცრუფარიანას — ჩაის, სუბტროპიკული ხურმის, დაფნისა და ციტრუსოვანთა მავნებლის წინააღმდეგ. მიკროტერისი კვერცხს დებს ცრუფარიანას სხეულში, განვითარებული ეუფარი კი მავნებელს ანადგურებს. წარმოეს სხვა ინტენსიური სამუშაოებიც, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს დაეხმარებიან მინდვრების, პლანტაციების, ბაღების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ა. ვიგნანსკი,
(საქინფორმის კორ.).

ქ. ბათუმი.

ჩვენი ქვეყნის შუაგული

თვითეულმა მოსწავლემ იცის, რომ აზიასა და ევროპას გააჩნიათ თავიანთი გეოგრაფიული ცენტრები. ამასთანავე ორივე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს. აზიის გეოგრაფიული ცენტრის აღმნიშვნელი ობელისკი დგას ტუვის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ყიზილში, ხოლო ევროპის გეოგრაფიული ცენტრისა — უკრაინაში, იმერკარპატების ოლქში, ქალაქის რახოვსა და ტიაჩივს შორის.

საბჭოთა კავშირი თავისი ფართობით ყველაზე დიდი სახელმწიფოა მსოფლიოში. მას უკავია აზიის კონტინენტის ნახევარზე მეტი და ფართობით 2,5-ჯერ აღემატება ევროპას. ამიტომ გასაკვირველია, რომ ამოდენა ქვეყანაში აქამდე განსაზღვრული არ ყოფილა მისი გეოგრაფიული ცენტრი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დიდმა რუსმა მეცნიერმა დიმიტრი მენდელეევმა თვის შვილთან — პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტ ივანესთან ერთად განსაზღვრა რუსეთის გეოგრაფიული ცენტრი. ეს იყო ადგილი ალმოსავლეთ ციმბირის ქალაქ ტურუხანსკის სამხრეთით, ქვემო და პოდკამენნაია

ოგელისკი — სსრ კავშირის გეოგრაფიული ცენტრი

□

ტუნგუსკას შუა ტერიტორიაზე. მაგრამ იგი დღეს აღარ შეიძლება წარმოადგენდეს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ ცენტრს, თუნდაც იმიტომ, რომ მას შემდეგ მოხდა ბევრი ტერიტორიული ცვლილებანი.

სსრ კავშირის ტერიტორიის გეოგრაფიული ცენტრის განსაზღვრის მასალები დაამუშავეს ჟურნალ „ტურისტის“ რედაქტორის მოადგილემ ნ. ტარასოვმა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა პ. ბაკუტმა. ამ საქმეში მათ ეხმარებოდნენ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ვ. გუკოვი და ვ. კოზულტინი.

საათანადო მასალების საფუძველზე დადგენილ იქნა ჩვენი ქვეყნის ოფიციალური გეოგრაფიული ცენტრი, რომლის კოორდინატებია:

აღმოსავლეთ გრძედის 82 გრადუსი და 30 მინუტი.

ჩრდილო განედის 62 გრადუსი და 30 მინუტი.

აღნიშნული მონაცემები უკვე დამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარმა სამმართველომ.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გეოგრაფიული ცენტრი მდებარეობს **ტუფანების ოლქში, მდინარე ტაზის ზემო წელში — უკაცრიელ და ძნელად სავალ ტაიგაში, მუდმივი მზრალობის მიდამოებში.** ამ წერტილიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი — ქ. ტომსკი 300 კილომეტრზე მდებარეობს.

მთავრობის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ ცენტრში დაიდგმება დიდი მონუმენტი, რომელიც მთლიანად დამზადდება ძვირფასი ლითონისაგან — ტიტანისაგან. მონუმენტის სიმაღლე იქნება 5,5 მეტრი. მაღლი უკვე მზად არის, მისი ავტორებია ა. ქადანი და ა. უსაჩევი.

მონუმენტი დგას ვარცხლბეკზე, მის ზემო ნაწილში ამოკვეთილია საბჭოთა კავშირის ტერიტორიის კონტური, ქვევით წარწერა: — **სსრ კავშირის ტერიტორიის ცენტრი.**

სულ ქვემოთ კი წარწერაა — „ეძღვნება საბჭოთა კავშირის ხალხთა ამობას“. ობელისკს ამშვენებს 3 მეტრი სიმაღლის სახელმწიფო ალმა.

გრ. ზარდალიშვილი.

ჭადრაკი

მაია ლიდეროვას განაგრძობს

გუჭარესტი. 21 მაისი. (საკუთარი კორ.). ნორჩი თბილისელი მოჭადრაკე, 13 წლის მოსწავლე მაია ჩიბურდანიძე ლიდერობას განაგრძობს რუმინეთის ტრადიციულ ქალთა საერთაშორისო ჭადრაკის ტურნირზე, რომელიც ბრაშოვში მიმდინარეობს. მან უკიმით დაამთავრა თავისთვის მძიმე პოზიციაში გადადებული პარტია ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთან მიელთან. საღამოს ჩიბურდანიძემ დაამარცხა ბულგარელი მოჭადრაკე ბორისოვა.

პრეტენდენტთა მატჩი

ანგარიშით გათანაბრდა

რიგა. გუშინ აქ დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ნ. ალექსანდრიასა და მ. შოლის ნახევარფინალური მატჩის მეოთხე გადადებული პარტია. შოლმა თავისი უბერატესობა 56-ე სვლაზე გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამრიგად, ანგარიშით გათანაბრდა — 2:2.

დღეს გაიმართება მატჩის მეხუთე პარტია. ნ. ალექსანდრია თეთრებით თამაშობს.

ციური კობაიძე — საქართველოს ჩემპიონი

ქალთა რესპუბლიკურ პირველობაზე გადადებული პარტიების დამთავრებისას კობაიძემ დაამარცხა ჯახბარიშვილი და ხუბულური, იოსელიანმა — ჩაიკოვსკაია და ხუგაშვილი, ბაშინორიძემ — გაჩეჩილაძე, ხუგაშვილმა — ხუბულური, კუპრაშვილმა და მანველოვამ — ვაჩეიშვილი. ყაიმზე შეთანხმდნენ ხუგაშვილი — ვაჩეიშვილი, კუპრაშვილი — იოსელიანი და ჯეგიძე — თანდაშვილი.

უკანასკნელი ტურის წინ მდგომარეობა ასეთია: **ციური კობაიძეს** (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ალექსანდრე ბუსლავევი), რომელსაც 14,5 ქულა აქვს, უკვე გაინაღდა ჩემპიონობა. ჩაიკოვსკაიას აქვს 13 ქულა, ხუგაშვილსა და ჯახბარიშვილს — 12,5 ქულა თვითეულს.

ციური კობაიძე.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

„სპორტლოტო“ — 15 (წყალბურთი), 27 (მოტოსპორტი), 23 (ძძლეოსნობა), 29 (საპარაშუტო სპორტი), 32 (წყალში ხტომა), 4 (მთამსვლელობა).

„სპორტლოტო-2“ — 6 (კალათბურთი), 25 (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა), 26 (მოტობოლი), 40 (ტურიზმი), 10 (ბუერი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი).

(საკადესი).

ფეხბურთი

ვეტერანთა ეატჩი

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა თბილისისა და ერევნის ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი.

ანგარიშით 5:2 (3:1) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ბურთები გაიტანეს: თბილისელთაგან — კალოევმა (3), დათუნაშვილმა და ლ. ჟორდანიამ; ერევნელთაგან — ოვივიანმა (2) და ავეტისიანმა.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: ს. კოტრიკაძე (ურუშაძე), გაგუა (ილოშვილი), თორაძე, ვ. რეხვიაშვილი, ბ. სიჭინავა, ილიადი, ხუნდაძე (სარჯველაძე), მეტრიველი (ხელაძე), დათუნაშვილი (ლ. ჟორდანია), კალოევი, მესხი. სტუმრთა გუნდში გამოვიდნენ — კარმირიანი, სემერჯიანი, ბეგლარიანი, სუპრიკიანი, ოვივიანი, კარაჯიანი და სხვა ცნობილი ფეხბურთელები.

ათი ტურის შემდეგ

საქართველოს ჩემპიონატზე პირველი ჯგუფის გუნდების შორის ათი ტური გათამაშდა. ბოლო, მეათე ტურში მწვავე ბრძოლით გამოირჩეოდა გათამაშების ლიდერის — რუსთავის „მეტალურგისა“ და ტურნირის ერთ-ერთი აუტსაიდერის — ხაშურის „ივერიის“ შეხვედრა მეტალურგთა ქალაქში. ლიდერმა ძნელი გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 4:3 და ახლა 17 ქულით სათავეში უდგას გათამაშებას.

მეორე და მესამე ადგილებზე არიან თბილისის „ლოკომოტივი“ და ზესტაფონის „მე